ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

**რ ე დ ა ქ ც ი ა**

ხაგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

**მისამართი:** თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგ. ადრესი: თბილისი, „საქართველო“

**კ ო ნ ტ ო რ ა**

„საქართველოზე“ ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ღირება—40 მ. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 15 მანეთი. ცალკე № 1 მან. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 1 მ. 50 კ. უკანასკნელზე—1 მ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 25 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს 3 მან. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს 1½ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 10 საათიდან 3 საათამდე.

**ტელეფონი** რედაქციისა და კონტორისა **15—73**

საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალური სასურსათო საბჭო ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ კვირას 2 მარტს დღის 12 საათზე გადახდილი იქნება, ქალაქ კავკავში ტრაღიკულად დაღუპულ ძვირფასი, დაუვიწყარი და საქართველოს სასურსათო საქმეებში უერთგულესი მუშაკის

**გიორგი ვასილის ძე**
**დ ა ლ ა ქ ი შ ვ ი ლ ი ს**

გარდაცვალების წლის თავზე წირვა და პანაშვიდი განსვენებულის სასაფლაოზე, დიდუბის ეკლესიაში.

სევდით აღვსილნი ივლიტა (იტო) გიორგის ასული ჯალიაშვილისა, შვილები: მიხეილი მეუღლე ქეთევანით, ივანე, დიმიტრი და სხვ. ოთხი მცირეწლოვანნი; იოსებ მიხეილის ძე ჯალიაშვილი სახლობით; ანასტასია ტაბლიაშვილის ქვრივი შვილით და ზინობიერი მენთეშაშვილის ქვრივი აუწყებენ ნათესავთა, დ მეგობართა, რომ 24 ამა თებერვალს გარდაიცვალა დაუვიწყარი მეუღლე და მამა პირველთა, ძმა დანარჩენთა მცხეთის საპატრიარქო ტაძრის დეკანოზი

**ალექსანდრე ჯალიაშვილი**

მცხედარს გამოასვენებენ დღის 1 ნახ. საათზე. (თამარის ქ. № 3). დაკრძალვა მოხდება კვირას 2 მარტს მცხეთის ტაძრის ეკლესიაში
1—2170—1

**ახალი გრანდიოზული**

**ც ი რ კ ი**



(მიხეილის პროსპ. ეფიმოვების ყოფილ შენობაში)

**ფ ო ა ვ ი ს**

დღეს შესდგება დიდი გრანდიოზული წარმოდგენა

**ბენ-პლიუს-ულტრა**

პირველი გასტროლი სახელგანთქმულ მეველისიპედე M-lle კლარის მონაწილეობით. ტრიუკები ბუტულკინისა. ჩემპიონი სერგი სამოდუროვი გააკეთებს ტრიუკებს მძიმე გირებით. გასტროლი შეუდარებელ კომიკოსების ძმ. ვინიჩენკოებისა, დებიუტები გიმნასტების ძმ. რუდლიერების. აკრობატკების მართა ბრუნოსის, თავის პარტნიორით კარლოსით. გასტროლი სახელგანთქმულ ცხენზე მოჯირითის M-e სტრაკოის. კლოუნები ძმ. იონავები. კინტოს გამოსვლა, კუპლეტისტების და სხვ.
წარმოდგენის დასაწყისი სალ. 8 საათზე.

**სახელმწიფო თეატრი.**

პარასკევს, 28 თებერვალს 1919 წ. წარმოდგენა № 23

„კავშირი“-ს დასის მიერ კ. ყიფიანის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება დილით **სამშობლო** 5 მოქ. დ. ერისთავისა.

საღამოთი მეოთხედ **სინათლე**

მეორე ნაწილი. ფერია ზღაპარი 7 სურ. ი. გედევანიშვილისა რეჟისორი შალვა დადიანი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დილის წარმოდ. დასაწყისი 12, სალ. 7 ს.
წარმომადგენელი ა. გაჩეჩილაძე. მსახიობთა კავშირის დირექცია

**მზადდება: „არლელი ქალი“**

ორშაბათს, 3 მარტს ვასო აბაშიძის ბენეფისი. 1—22—1

**სახელმწიფო თეატრი**

**საოპერო დასი ს. ი. ევლახიშვილისა**

შაბათს, 1 მარტს, დილით **კორშუნის** ბ ე ნ ე ფ ი ს ი

მონაწილეობენ შულგინისა, შვამბერგის, იანსა, კანშინისა, პოლიაევისა და ისეცკისა

**ნ ე რ ო ნ ი**

საღამოთი ბენეფისი **ზალიპსკისა** საღამოთი ბენეფისი
მონაწ.: საბანეევა, ზალიპსკი, ნიკოლსკი

**ჰოფმანის ზღაპრები**

2 მარტს დილით „ევგენი ონეგინი“; საღამოთი საბანეევის, სარაჯიშვილის და ნიკოლსკის მონაწილეობით „ლაკმე“.

**დასამყნობი საძირეები**
**ვ ა შ ლ ი ს თ ვ ი ს**

დუსენისა და სამოთხის ვაშლის მაყალო, პატარა ტანის ხეებისთვის. იყიდება: სადგ. კასპში, სვ. ხეთაგურის სანერგეებში, აგრეთვე დაკვეთა შეიძლება შემდეგი მისამართით: თბილისი, კიროჩნი, 35.

ამ საძირეზე დამყნილი ვაშლი იზრდება პატარა, ისხამს ადრე (მეორე წელიწადს, სრული მოსავალი კი მეოთხე წელიწადს) და ნაყოფიც სხვილი და ლამაზი აქვს, ვიდრე ჩვეულებრივ ტყის მაყალოზე.
1—2167—1

**ქართული კლუბი**

პარასკევს, 1919 წ., თებერვლის 28-ს, საზოგადოება

**„განათლების“** სასარგებლოდ

გაიმართება **დიდი საღამო** გაიმართება

1. რუსულად: Ночь после бала. ქ-ნ მელიქიშვილისა. ზამთარი, კისოლევსკაია, პ. წერეთელი და ტარსაიძე. 2. თეთრი ვახშამი, ანუ ორი პიეროო. ე. როსტანისა. 3. ცეკვა: ბუერზაკის, ვაკარეც, ქ. ციციშვილი და პანფინოვი. 4. მუსიკალური განყოფილება ბ. ზალიპსკის, კოპელნიცკის, შულგინას, სარაჯიშვილის და ჩუბინაშვილის მონაწილეობით.

პროგრამის შემდეგ ბალი ღამის 3 საათამდე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
გამგე ა. ანდრონიკაშვილი. საღამოს დიასახლისები: ქ. ე. ალექსი-მესხიშვილისა და ელ. ჩოლოყაშვილისა. 2—2

**ი ყ ი დ ე ბ ა**

მ წად-მოქმედების სამინისტროს წიგნსაცავში ახლად შედგენილი და გამოცემული წიგნი:

„Сборникъ законовъ, инструкцій и разъясненій по Министерству Земледѣлія“

შედგენილი მიწადმოქმედების მინისტრის იურისკონსულტის ნაფიც ვექილის ლ. გ. ასათიანის მიერ.

**ერთი ცალის ფასი 7 მანეთი.**
1 21—1

**ყ უ თ ე ბ ი**

ახალი, გამოსადეგი ხილის ჩასაწყობად, საპნისთვის [illegible] ვებისთვის, რუსულ ბადრიჯნისთვის და სხვა.
სიგრძე 19, სიგანე 10, სიმაღლე 5 ვერშოკი. იყიდება პუშკინის ქუჩაზე შადინოვის მაღაზიაში. 1—2167—1

დასარგავად მომზადებული

**კ ა რ ტ ო ფ ი ლ ი**

მოწითლო, ნაადრევი—ექვსი კვირისა, ამერიკული ჯიშისა.
მიმართეთ: სვ. ხეთაგურს, კიროჩნი, № 35. თბილისი. 4—7 საათ. სალ.
1—2167—1

**პინემო მინიონი**

გოლოვინის და ბარიათინის კუთხე.

**დღეს ჩვენს ეკრანზე**

**რიმსკი — ქაროვა**

მხატვრულ სურათებში

**სიკვდილის დუქანი**

(КАБАЧЕКЪ СМЕРТИ)

**(ვ ა ნ დ ა)**

დრამა 5 მოქ.
სეანსის დასაწყისი 4 ნახ. ს.
12—5

## ხალხთა ლიგა

როგორც მოსალოდნელი იყო, პარიზის საზავო კონფერენციამ ვერავითარ პრაქტიკულ რეზულტატებს ვერ მიაღწია დღემდე. თვით ბრესტლიტოვსკის მოლაპარაკება, რომელიც მცირე მაშტაბით პარიზის კონფერენციის წინამორბედს წარმოადგენდა, შედარებით უფრო ნაყოფიერი იყო, მხოლოდ შემდეგ მოვლენათა განვითარებამ გააბათილა ბოლშევიკურ რუსეთისა და ცენტრალურ სახელმწიფოების მიერ მიღებული ხელშეკრულებანი.

რავდენიმე მიზეზით აიხსნება პარიზის კონფერენციის უნაყოფობა. პირველი და უმთავრესი ის არის, რომ დღეს მსო[illegible]ში ხდება უდიდესი რევოლუ[illegible]ათ, ძველი კულტურის კატასტროფა და ამ კატასტროფას სხვათა შორის თან მიაქვს ტრადიციული შეხედულებები საერთაშორისო უფლებაზე. კიდევ მეტი: ინგრევა თვით საფუძველი, რომელზედაც თანამედროვე კულტურული ურთიერთობა აღმოცენდა: აღებმიცემობა, სარკინიგზო, საფოსტო და სატელეგრაფო კავშირი და სხვა. ევროპიული სახელმწიფონი თან და თან უახლოვდებიან იმ მდგომარეობას, რომელშიც კაპიტალიზმის პირველ სტადიის დროს იმყოფებოდნენ.

მეორე მიზეზი ის არის, რომ ფაქტიურად ჯერ კიდევ საომარი მოქმედება არ შეწყვეტილა ევროპაში. ბოლშევიკური რუსეთი ოთხი მიმართულებით იბრძვის. ბრძოლა სწარმოებს ახლად განთავისუფლებულ პატარა ერებს შორის. ამას გარდა თითქმის მთელი აღმოსავლეთი ევროპა სამოქალაქო იმის ალში გახვეული. ეს გარემოება თავის მხრივ მოქმედობს შეთანხმების სახელმწიფოებზე, რომელნიც პარიზის კონფერენციაზე დირიჟორის როლს ასრულებენ: კლემანსოს დაჭრა, ირლანდიის დამოუკიდებლობის გამოცხადება, ბელფასტის აჯანყება აღმოსავლეთ ევროპაში მომხდარ ამბების გამოძახილია.

ბოლოს აღსანიშნავია ისიც, რომ ზავი ყოველთვის ორი მოპირისპირე ნებისყოფის, დამარცხებულისა და გამარჯვებულის, შეთანხმებას ჰგულისხმობს, პარიზის კონფერენციაზე კი მხოლოდ გამარჯვებული კოალიციაა წარმოდგენილი და ის სახელმწიფოები, რომელნიც ინგლის-საფრანგეთის ორბიტში იმყოფებიან; არც ბოლშევიკურ რუსეთს, არც გერმანიასა და არც ოსმალეთს ხმა არ აქვს ვერსალის სასახლეში.

ამ ზემოთ-აღნიშნულ მიზეზების გამო მსოფლიო კონფერენციის მუშაობას თეორეტიულ მსჯელობის ხასიათი ეძლევა. ეს განსაკუთრებით ნათლად სჩანს ეგრეთ-წოდებულ ხალხთა ლიგის კომისიის მუშაობაზე, რომლის რეზოლუციები კიდეც გადმოვცა რადიო-ტელეგრაფმა. თვით ხალხთა ლიგის აზრს, როგორც ცნობილია, საფუძვლად უდევს მუდმივი ზავის იდეა, რომელიც ჯერ კიდევ ძველმა სტოიკოსებმა შეიმუშავეს და შემდეგ გერმანელმა ფილოსოფოსმა კანტმა განავითარა: მუშათა ინტერნაციონალმა თავის უახლოეს იდეალათ გამოაცხადა საერთაშორისო მშვიდობიანობის დამყარება. ასე რომ ხალხთა ლიგის იდეაში თავის თავად არაფერია ახალი. მთავარი საკითხი მისი პრაქტიკული განხორციელებაა. და პარიზის კონფერენციამ უცილობლად დაამტკიცა, რომ იქ წარდგენილ სახელმწიფოებს ხალისი არ აქვთ და ძალა არ შესწევთ ამ იდეის განსახორციელებლად.

უწინარეს ყოვლისა აღსანიშნავია ის გარემოება, რომ გამოქვეყნებულ ტექსტის მიხედვით ხალხთა ლიგაში სწორეთ ის ხუთი დიდი სახელმწიფო შედის, რომელთა კავშირი გერმანიის წინააღმდეგ ომს აწარმოებდა: შეერთებული შტატები, დიდი ბრიტანეთის იმპერია, საფრანგეთი, იტალია და იაპონია; მათ წარმომადგენლებს უფლება ეძლევათ შერჩევით კიდევ ოთხი სახელმწიფოს დელეგატები მიიწვიონ. ამგვარად ხალხთა ლიგა არსებითად დღევანდელი ფაქტიური მდგომარეობის დადასტურებაა. ლიგას ეყოლება თავისი აღმასრულებელი საბჭო და საერთაშორისო სეკრეტარიატი. ლიგის წევრები ვალდებულნი არიან ერთმანეთის დამოუკიდებლობასა და ტერიტორიულ ხელუხლებლობას პატივი სცენ. სადაო საკითხები აღმასრულებელ საბჭოსა და სამედიატორო სასამართლოს უნდა გადაეცეს. საბჭო განსაზღვრავს თვითეულ სახელმწიფოს სამხედრო და საზღვაო ძალას. ბოლოს ლიგაში შესული მოწინავე ერები ვალდებულნი არიან ჩამორჩენილ ქვეყნების განვითარებისათვის იზრუნონ.

ცხადია, რომ ხალხთა ლიგის მუხლები ერთგვარია ვარიაციაა ძველი საერთაშორისო პოლიტიკის პრინციპებისა. რასაც დღეს პარიზის კონფერენციაზე ამბობენ, ათასჯერ თქმულა ჰააგის კონგრესებზე. მაგრამ ჰააგის ტრიბუნალმა, როგორც ცნობილია, საერთაშორისო მშვიდობიანობა ვერ დაამყარა. საქმე იმაშია, რომ ამ მშვიდობიანობის დასამყარებლად არც კეთილი სურვილი კმარა და არც საერთაშორისო ტრიბუნალი და სეკრეტარიატი. საჭიროა აღმასრულებელი ძალა, რომელიც სამსჯავროს გადაწყვეტილებას სისრულეში მოიყვანს, ურჩს მოსდრეკს, მოწინააღმდეგეებს მოარიგებს. შეუძლია თუ არა, ასეთი ძალის შედგენა ხალხთა ლიგას? და თუ შეუძლია, სადაა გარანტია რომ ეს აღმასრულებელი ძალა „ჩამორჩენილ ქვეყნების“ დასაჩაგრავად არ იქნება გამოყენებული?

ის წინააღმდეგობა, რომელმაც კონფერენციის მონაწილეებს შორის თავი იჩინა, იმის მაჩვენებელია, რომ ხალხთა ლიგის განხორციელება შეუძლებელია თვით ანტიგერმანულ კოალიციის ფარგალშიც. ეს არის ერთი მორიგი პოლიტიკური ილუზია, რომლითაც თავს ინუგეშებს ომით მოქანცული და სისხლ დაცლილი კაცობრიობა. ამიტომ ადგილი გასაგებია ის გულგრილობა, რომლითაც ევროპიული პრესსა ლიგის ტექსტის გამოქვეყნებას შეხვდა. მართალია იყო სურვილი ენტუზიაზმის ხელოვნურად გაღვივებისა და ერთმა ამერიკელმა სახელმწიფო მოღვაწემ გრძელი სიტყვაც კი წარმოსთქვა „ისტორიის ოქროსვარაყიან დღის შესახებ“. მაგრამ ეს სიტყვა სრულიად განცალკევებული დარჩა. ევროპაში ყველა უნდა გრძნობდეს, რომ პარიზის კონფერენცია აღნიშნავს არა ოქროს ხანას, არამედ ძველი კულტურის მწუხრს.

## „The Trans Caucasian Post“

ამ სათაურით თბილისში გამოდის ინგლისური გაზეთი. რადგანაც გაზეთის შთაგონება მთლად სომხურ-დაშნაკცაკანურია, არ შეგვიძლიან არ შევჩერდეთ იმაზე, თუ რანაირ ინფორმაციას ეწევა ეს გაზეთი საქართველოს შესახებ.

გაზეთი თბილისის არჩევნებს ეხება და როგორც მოსალოდნელია, დაბეზღების კილოთი სწერს:

„თანახმად 1917 წლის კავკასიის კალენდრის ცნობებისა თბილისის მოსახლეობა 1916 წლის პირველ იანვარს უდრიდა 346,080 სულს. აქედან სომეხი 149,000 იყო, რუსი 91,000, ქართველი 37,000 და სხვა ეროვნებები 68,000. ამ რიგად, მიუხედავად იმისა, რომ ქართველები მხოლოდ 37 ათას სულს შეადგენენ თბილისში, ხმოსანთა 90 რიცხვიდან ქართველი 84, სომხებს კი, თუმცა ოთხჯერ მეტნი არიან რიცხვით ქართველებზე, სულ ოთხი ხმოსანი ჰყავთ.“

ასეთ ცნობებს აწვდის სომხური „The Trans-Caucasian Post“ იმ ხალხს, ინგლისელებს, რომლებიც, ადვილად შესაძლებელია, ჯერ კიდევ ჩახედულნი არ იყვნენ საქმის ვითარებაში და არავითარ ცნობებს არ იძლევა იმის შესახებ, თუ რას ნიშნავს ზემო მოყვანილი ციფრები, ან რა პირობებში მოხდა უკანასკნელი არჩევნები თბილისში.

რადგანაც, როგორც ზევით ვსთქვით, გაზეთს სომხური ინფორმაცია და დაშნაკცაკანური ხელი ატყვია, ესე იგი, გაზეთი ამბობს იმას, რაც არა ერთხელ უთქვამთ სომხებს, რუსულ და სომხურ გაზეთებში, არა გვგონია არგუმენტის სიძლიერე მიემატოს ძველ ჭორს და ძველ ავ-ზნეობას მით, რომ ეს ჭორი და სიყალბე ეხლა ინგლისურად არის ნათქვამი.

უკანასკნელ არჩევნების შედარება 1917 წლის არჩევნებთან თბილისში, პირდაპირ თვალის ახვევაა იმ ინგლისელ მკითხველისა, რომლის „განანათლებლად“ ილწვიან ალბად „სოლოლაკელი ჯენტლმენები“.

ჩვენში ყველამ იცის, რომ 1917 წ. ქალაქი თბილისი რუსეთის ქალაქი იყო და მაშინ ძალაში იყო კანონი რუსეთის სახელმწიფოს ქვეშევრდომობისა. ამ კანონის ძალით არჩევნებში მონაწილეობის უფლება ჰქონდათ იმ რუსებს და სომხებს, რომლებიც მაშინ თბილისში სცხოვრობდნენ. კერძოთ რუსთა ხმები 1917 წელს გაძლიერებული იყო რუსის ჯარით, რომელიც თბილისში იდგა. რაც შეეხება სომეხთა 149,000 სულს, თუ მართალია კავკასიის კალენდარის ცნობა, რაც ჩვენ ძალიან გვეეჭვება, აქაც უნდა ითქვას, რომ ამ რიცხვში შედიოდა ყველა სომეხი, რომელიც სცხოვრობდა თბილისში.

მაგრამ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებით სურათი შეიცვალა და იმ კანონის ძალით, რომელიც მიღებულია ყველა სახელმწიფოში და რომელსაც ქვეშევრდომობის კანონი ჰქვიან, სომეხთა და რუსთა საარჩევნო ხმა შემცირდა. საქართველოს რესპუბლიკას არ შეეძლო საარჩევნო უფლება მიეცა მისთვის, ვინც ქვეშევრდომი არ იყო და მით უმეტეს არ შეეძლო ეს უფლება მიეცა რუს შავრაზმელ ჩინოვნიკობისთვის, და დაშნაკცაკან არა ქართველ მოქალაქე სომეხისთვის, რომლებიც ამასთანავე მტრებიც იყვნენ მის დამოუკიდებლობისა.

მიუხედავად ამისა, ჩვენ თითონვე ვფიქრობთ, რომ სომეხ ხმოსანთა რიცხვი მეტი უნდა ყოფილიყო, ვიდრე ოთხი. მაგრამ რათ მოხდა ეს? ყველამ იცის რომ 71000 ამომრჩევლიდან არჩევნებში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ 37000 კაცმა. ცხადია, რომ იმ 34000 ამომრჩეველში, რომლებიც ურნასთან არ გამოცხადდა 70 პროც. სომეხი უნდა იყოს.

# უკანასკნელი ცნობები

პოლონელები პოზნანში იერიშებს განაგრძობენ.

გერმანულ ავსტრიის დამფუძნებელი კრება 25 თებერვალს გაიხსნება.

რუმინიის წინააღმდეგ ბესარაბიაში აჯანყებაა.

პეტლიურას ჯარი დირენკოს განცხადებით სრულიად განადგურებულია.

დენიკინის სამხედრო დიქტატურა მთელ ყირიმზე ვრცელდება.

დენიკინის ჯარმა 20 ვერსით წინ წაიწია.

აი, სომეხ ჯენტლემენების გაზეთს რომ ესურვა გაეგო რათ მოხდა ეს, გაცილებით საინტერესო იქნებოდა. მაგრამ რადგანაც დაშნაკცაკანური „The Trans-Caucasian Post“ თითონ ამას ვერ იტყვის, ჩვენ უნდა ვსთქვათ, რატომ არ გამოცხადდა სომეხი ამომრჩეველი ურნასთან.

ყველამ უწყის, რომ ამ არჩევნებში სომხურმა პარტიამ „დაშნაკცუტუნმა“ ბოიკოტი გამოაცხადა. თითონ ეს პარტია დადიოდა სომეხ-მოსახლეობის კარ-კარ და არწმუნებდა ამომრჩეველს, არ გამოცხადებულიყო არჩევნებზე. დაშნაკცუტუნის მხრივ ეს იყო ბოროტმოქმედება ქალაქის ინტერესების წინაშე, რაც ჩვენ თავის დროზე აღვნიშნეთ. მაშინ ჩვენ ისეთი შთაბეჭდილება მივიღეთ, რომ სომეხი მასსა მხარს უჭერდა ბოიკოტის საკითხში „დაშნაკცუტუნს“ და არ დავმალავთ, ეს ჩვენ გვწყინდა. მაგრამ შემდეგმა ამბებმა საბუდამოთ გამოარკვიეს, რატომ არ მივიდა სომეხი ამომრჩეველი საარჩევნო ყუთთან.

საქმე ის არის, რომ „დაშნაკცუტუნი“, რომელმაც მხურვალე მონაწილეობა მიიღო დამფუძნებელ კრების არჩევნებში, დამარცხდა. საქართველოში ის მოაგროვა ათასზე ცოტა მეტი ხმა. და ასეთი აბსენტეიზმი სომეხ ამომრჩევლისა აიხსნება მით, რომ ჯერ „დაშნაკცუტუნი“ უცხადებდა ბოიკოტს საქალაქო არჩევნებში, ახლა თვით სომეხმა ამომრჩეველმა გამოუცხადა ბოიკოტი „დაშნაკცუტუნს“. და ეს მოხდა იმიტომ, რომ სომხის მასსა დაიღალა „ზინვორების პარტიის“ ძალმომრეობისგან. სწორედ ასე ხსნის ამ ფაქტს სომხური გაზეთი „ჟოღოვორდი ძაინ“-ი და ჩვენ სავსებით ვეთანხმებით მას ამ განმარტებაში.

აი რაზედ უნდა ეწერათ გაინგლისებულ ავლაბრელებს და გაჯენტლმენებულ სოლოლაკელებს, თუ სურდათ ნამდვილ ინგლისელებისთვის ფაქტის ნამდვილი ახსნა მიეწოდებინათ. მაგრამ ეს ამბავი მათ განზრახ დამალეს და კავკასიის კალენდარს ებღაუჭებიან, თითქოს კალენდარი და ცხოვრება ერთი და იგივე იყოს. ჩვენ უსურვებთ სულ ასე სწერონ ამ ვაჟბატონებმა სიმართლე, რადგანაც ბოლოს ყველა მიხვდება რა ანგელოზები ყოფილან ისინი, რომლებიც თუნდა ერთის წუთით მაინც მიიპყრობენ მათ ყურადღებას ვისაც მართლის გაგება სურს და არა დაშნაკცაკანური ისტორიისა.

## პოლიტიკური ილუზიები

ჩვენ პოლიტიკურ ცხოვრებაში ყოველთვის დიდი ადგილი ეჭირა ილუზიებსა და უტოპიურ იდეებს. ამ ბოლო დროს ხელახლა თავი წამოჰყო ამიერ-კავკასიის სახელმწიფოებრივ მთლიანობის იდეამ. ლაპარაკობენ ფედერაციისა, კონფედერაციისა ან კიდევ ცენტრალისტურად აგებულ ამიერ კავკასიის სახელმწიფოებრიობის შესახებ.

თავის-თავად ცხადია, რომ ამ ილუზიების ქარხანა რუსულ-სომხურ პოლიტიკურ წრეებშია, რადგან თვით სიტყვა „ამიერ-კავკასია“ რუსების მოგონილი ტერმინია და რუსობის მოსვლამდე კონკრეტიული შინაარსი არ ჰქონია.

აკადემიური მსჯელობა ყოველ მოვლენაზე შეიძლება, თუნდაც ამიერ-კავკასიის სახელმწიფოებრიობაზე, მაგრამ, როდესაც ამ მსჯელობას საქართველოს იდეას უპირდაპირებენ, ჩვენს დამოუკიდებელ, სუვერენულ რესპუბლიკას, ისიც იმ დროს, როდესაც თითქმის ყოველი სახიფათო ფაზისები და კრიზისები განვლილია და დღეს არა, ხვალ, მთელი განათლებული კაცობრიობა თავის დასტურს მისცემს, ამ ასეთ მოვლენას, გინდ განზრახვას უაღრესად ბოროტმოქმედური სუნი უდის. რაშია საქმე? რა მოხდა? აღიგავა კიდეც ქართველი ერის იდეა? ყოველდღიური ფაქტები კი წინააღმდეგს გვიმტკიცებენ და ქართველი ერი გადაჭრილ სიტყვას იტყვის, საფუძვლიანსა და უკანასკნელ პასუხს გასცემს ყველა საჭირბოროტო და სადაო საკითხებს.

არ ვეჭვობთ, რომ საქართველოს დამფუძნებელ კრების პირველი სიტყვა იქნება: დამოუკიდებელი, სუვერენული საქართველო, რადგან ამ ლოზუნგით შეიჭრა ჩვენში მომქმედი ყოველი პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი ჯგუფი და პარტია ქართველ ერის მასსაში. ამ ლოზუნგმა მიაღებინა ყველას ქართველი ერის ნდობა და ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს ლოზუნგი იყო იდეა ქართველი ერისა და არა შემთხვევაში არ არი სტაქტიკო მასალა რომელიმე, თუნდაც უძლიერეს პოლიტიკურ პარტიისა, ვინაიდან ამ ერთი წლის განმავლობაში ქართველი ერის ეროვნული ენერგია გაიზარდა. ჩვენ არ შეუდგებით იმის მტკიცებას, რომ საქართველო იოტის ოდნავადაც არ დასთმობს თვის სუვერენობას, რადგან თვით ფაქტები ჩვენი დამფუძნებელი კრების მოწვევისა ნათლად ლაღადებს ქართველი ერის ნებისყოფას, ხოლო მეტი არ იქნება შოვიგონოთ, ზედი ზედ გასკდომა საპნის ბუშტების, რომელიც რევოლუციის დღიდანვე იქმნა აშვებული. თავი შეაკლეს რუსეთის მთლიანობას, მის ცენტრალიზაციას, მაგრამ უბრალო პოლიტიკური ნიავიც საკმაო შეიქმნა, რომ ეს ცენტრალიზაცია დამხობილიყო. სწორედ აქ წამოსკუპეს ამიერ-კავკასია, მაგრამ ეს ბუშტიც მალე გასკდა და თავი წამოჰყო საქართველოს სახელმწიფოებრივობამ, რასაც უფრო სალი ხერხემალი აღმოაჩნდა.

ნუ თუ ეს ფაქტები საკმარისი არ არი იმ ვაჟბატონებისათვის, რომელნიც ამ ჟამად ფედერაციულ თუ კონფედერაციულ ლამენტაციებით ირთობენ თავს? ნუ თუ ქართველ ერის კეთილდღეობისათვის ამოიწურა სალაპარაკო მასალა და პრესა კვლავ უდღეო და დასამარებულ დამარცხებულ უტოპიებით უნდა ჰკვებავდეს საზოგადოებრივ აზრს?

პოლიტიკური ცინიზმი ველარ წავა შორს და უნდა ახსოვდეთ განახლებული საქართველო დროზე ამოსდებს მათ ლაგამს.

ეს საჭიროა დროზე იყოს სისრულეში მოყვანილი, თორემ ვაი თუ საქართველო კვლავ შეირყეს და მოხდეს დიდი საშინელება.

ი. ხანანაშვილი.

## ქრონიკა

◆ **კომისია სომეხ-ქართველთა ომის პასუხისმგებლობის გამოსარკვევად.** ინგლისელების წინადადებით შესდგება სომეხ-ქართველთა და ინგლისელთა წარმომადგენელთაგან კომისია, რომელიც სომეხ-ქართველთა შორის მომხდარ ომის პასუხისმგებლობას გამოარკვევს.

◆ **ბ. მაჩაბლის დეპეშა.** ამ დღეებში საქართველოს მთავრობამ ბ-ნ მაჩაბლის დეპეშა მიიღო, რომელიც შემდეგს იტყობინება: გენერალ დენიკინს წინადადება მიუცია თერგის ოლქის ქართველობისთვის გავიდეს თერგის ოლქიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი გაწვეულნი იქნებიან ჯარში 18—45 წლამდე ბოლშევიკებთან საბრძოლველად.“ ამის გამო მთავრობამ ინგლისის მისიას სთხოვა გავლენა იქონიოს გენ. დენიკინზე. თორემ საქართველოს მთავრობაც იძულებულ იქნება ასევე მოექცეს საქართველოში მცხოვრებ რუსობას.

◆ **ქართველ ლტოლვილთათვის.** მთავრობამ შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულებაში, ქართველ ლტოლვილთა გადმოსაყვანად და მათ მოსაწყობად 500,000 მანეთი გადასდო.

◆ **დამფუძნებელ კრების დამატებითი არჩევნები.** დუშეთის მაზრის დამფუძნებელ კრების საარჩევნო კომისია სთხოვს ცენტრალურ კომისიას რომ ყაზბეგისა კობისა და მლეთის რაიონებში, სადაც დიდი თოვლის გამო თავის დროზე არჩევნები არ მომხდარა, ამ მახლობელ კვირის განმავლობაში მოხდეს.

◆ **კერძო საკუთრების დარღვევის შიში ბორჩალოში.** ბრიტანეთის გენერალ-გუბერნატორმა ბორჩალოს მაზრაში აცნობა მცხოვრებლებს, რომ კერძო საკუთრება დარჩება ისე, როგორც ეს რევოლიუციამდე იყო და კერძო საკუთრების დარღვევა დანაშაულად ჩაითვლება და გარჩეულ იქნება ბრიტანეთის სასამართლოში, რომელიც ალავერდში იმყოფება.

### ვაჭრობა მრეწველობა

◆ **ტყავეულობა.** „ჩვენი ცხოვრების“ ფირმამ შუამდგომლობა აღძრა ვაჭრობა მრეწველობის სამინისტროში, რომ ტყავეულობის გასაკეთებლად მისცეს მათ საჭირო სუბსიდია.

◆ **ვაჭრობა მრეწველობის ბანკის გახსნის გარშემო.** ხვალ ფინანსთა სამინისტროში შესდგება თათბირი, რომელზედაც განხილული იქნება ვაჭართა შუამდგომლობა თბილისში ვაჭრობა მრეწველობის ბანკის გახსნის შესახებ.

### ბოლშევიკები

◆ **ტყვე ბოლშევიკების დაბინავება.** საბურთალოს კომისარი შინაგან საქმეთა მინისტრს ატყობინებს, რომ 20 თებერვალს, მთელი წყება ბოლშევიკებისა, რიცხვით 1004 კაცი ჩამოვიდა მისდამი რწმუნებულ უბანში და თანახმად თბილისის ქალაქ მილიციის უფროსის და ქალაქის გამგეობის მიერ მოწერილობისა ისინი მოთავსებულ იქნებიან რეკვიზიციის სახით ჩამორთმეულ ბინებში.

◆ **ტყვე ბოლშევიკები.** საგენერალო შტაბის უფროსმა შინაგან საქმეთა მინისტრს აცნობა, რომ დაუყონებლივ გაყვანილ იქნენ ტყვე ბოლშევიკები რკინის გზის ლიანდაგის მიდამოებიდან, მათი უშვებო მოქმედების თავიდან ასაცილებლად.

◆ **მდგომარეობა სადგ. კობერთან.** გზათა უფროსისაგან გზათა მინისტრმა შემდეგი ტელეფონოგრამა მიიღო: სადგურ კობერიდან მოსამსახურეები გვატყობინებენ, რომ იქ ინგლისელ მცველების მოხსნის შემდეგ შეიარაღებულმა სოფლელებმა ლიანდაგზე სიარული მოუხშირეს. მოსამსახურეების იქ ყოფნა საფრთხილოა, სომხების მუქარის გამო იქ მყოფი მცირე რიცხოვანი ჩვენი დამცველი რაზმი დამხმარე რაზმს ითხოვს, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი სადგურის დატოვებით იმუქრებიან. რაც საფრთხეში აგდებს იქ მოსამსახურეებს. გთხოვთ განკარგულებას.

◆ **26 თებერვლის სავალდებულო დადგენილების** [illegible] მის მიდამო[illegible] გენერალ-გუბერნატორი შ. მაღლაკელიძე აცხადებს, რომ 26 თებერვლის სავალდებულო დადგენილების მე-2 მუხლი მოხსნილია.

◆ **მკვლელობა.** 26 თებერვალს, საღამოს 6 საათზე სასადილო „ეკონომიაში“ მელიქ-შახნაზაროვსა და ხაჩაგუროვს ჩხუბი მოუვიდათ. პირველმა ხმლით დასჭრა მეორე. დაჭრილი მიხაილოვის საავადმყოფოში მოათავსეს, სადაც გადაიცვალა. შახ-ნაზაროვი დააპატიმრეს.

◆ **სახადთან ბრძოლა.** სახადთან საბრძოლველად ქალაქის გამგეობამ შემდეგი ექიმები მოიწვია: ა. ი. ქუთათელაძე, ი. ქ. გუბარიოვი, ი. ვ. ხოჭოლავა, ნ. მ. ტერტეროვი, ჰ. კ. როდზევიჩი და დ. ჰ. იოსელიანი.

◆ **ქალაქის დეფიციტი.** ქალაქის გამგეობამ მოიწონა გამგეობის უფროს ბუჰჰალტერის მოადგილე ბ-ნ ჯანაღოვის მოხსენება ქალაქის ფინანსიური მდგომარეობის შესახებ. ამ მოხსენებიდან სჩანს, რომ 1 იანვრამდე 1920 წ. ქალაქის დეფიციტი შეადგენს 36,340,676 მან.

◆ **საქართველო-ადერბეჯანი-სომხეთი.** თანახმად დადებულ კონვენციებისა მარტის პირველიდან დაწესებულ იქნება ფოსტა-ტელეგრაფის ნორმალური ურთიერთობა საქართველოსა, ადერბეიჯანსა და სომხეთის რესპუბლიკათა შორის.

◆ **სასურსათო განყოფილების გაუქმება.** ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილება მომავალ მარტიდან გაუქმდება. ამ განყოფილების გამგემ გ. გ. აიოლლომ ქალაქის მოურავის მოადგილეს გ. გ. კონიევს თხოვნა მისცა ამ თანამდებობისაგან განთავისუფლების შესახებ ქალაქის გამგეობამ დაადგინა ბ-ნ აიოლლო განთავისუფლებულ იქმნას პირველ მარტიდგან და მიეცეს მას სალიკვიდაციო თანხა.

◆ **„განათლების“** საზოგადოების წლიური კრება კვირას 2 მარტს დილის 11 საათზე სამეურნეო ბანკის სადგომში (სასახლის ქუჩა) მოხდება.

◆ **კარნავალი.** კვირას, მარტის 2-ს ქართულ კლუბის ყველა დარბაზებში გაიმართება დიდი კარნავალი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ თბილისის ყველა არტისტიული და მხატვრული ძალები. ამ დღესასწაულისთვის როგორც ნიმუში აღებულია განთქმული კარნავალური ზეიმები მიუნხენისა, ნიცცისა და მილანისა. გარდა რამდენიმე დიდი და რთული პროგრამისა კლუბის სამს დარბაზში, დიდი ყურადღება იქნება მიქცეული დარბაზების მხატვრულ მორთულებას, და კარნავალის სხვა და სხვა სპეციალურ გასართობებს, პროცესიებზე და სიურპრიზებზე.

◆ **ეროვნულ-დემოკრატ სტუდენტების კრება,** პარასკევს თებერვლის 28-ს საღამოს 5-თ საათზე სახელმწიფო უნივერსიტეტში დანიშნულია ეროვნულ-დემოკრატ სტუდენტების კრება. დასწრება საჭიროა.

◆ **შემოწირულება.** გაზეთ „საქართველოს“ ფონდის სასარგებლოდ შემოსწირეს: გიორგი მდივანომა 20 მ. რიმა ტერსარქისომა 10 მ., 5-თე უბნის კომისარის თანაშემწემ ივ. ჯალაგანიძემ 20 მან.

## სამხატვრო ქრონიკა.

**სახელმწიფო თეატრში** დღეს კავშირის დასის მიერ წარმოდგენილი იქნება დილით ვ. ყიფიანის მონაწილეობით „სამშობლო“ საღამოთი „სინათლე“ II ნაწილი ორშაბათს 3 მარტს ვასო აბაშიძის საბენეფისოდ „ხანუმა“ პიესას დასდგამს ალ. წუწუნავა.

**ქართველ მწერალთა კავშირის** [illegible] **კრება.** დღეს, პარასკევს დილის 11 საათზე დანიშნულია კრება ქართველ მწერალთა კავშირის საბჭოსი მორიგ საკითხების გასარკვევათ. კრება დანიშნულია დრამატიულ კავშირის შენობაში.

## პროვინციის ცხოვრება

**ბათუმი.** ახალციხიდან ჩამოსული პირები ერთხმათ აღიარებენ, რომ ფოცხოვის აჯანყება ოსმალეთის აგენტების და ადგილობრივ ზოგიერთ ბეგებისგან იყო მოწყობილი. ზოგ ბეგს კი დახმარება გაუწევია ჩვენებისთვის. ბეგებს მრავალი მესხი გადურჩენია. ოსმალების შურისძიებისაგან ამგვარად გადარჩენილ ივანე ბეთანაშვილმა გვიამბო, რომ მასთან ერთად აჭარისკენ ჩამოეტარებიათ კაპიტანი დიმიტრი ნიჟარაძე და ჯარის კაცი ნესტორ ქვირკელაძე, რომლებიც გზაში ქარბუქს დაუხჩვია. მათი გვამები შემდეგ ჭიონებით და სოფელ დანისპარულში დაუსაფლავებიათ. ნიჟარაძეს აღმოჩენია 5377 მანეთი და [illegible] ეს ფულები ხულის კომისარისთვის ჩაუბარებიათ.

ადგილობრივ მცხოვრებლებთან ერთად ჩამოვიდნენ ოფიცრები. მუშებს და მცხოვრებლებს გამოღვიძება დაეტყო. ამოძრავდა მათი პროფესიონალური აპარატი. განაახლეს თავიანთი კავშირები. მოითხოვს 8 საათის სამუშაო დღის დაკანონებას. აფთიაქში მომუშავეთა გაფიცვა მათ გამარჯვებით დამთავრდა. ქობულეთში ადგილობრივ ადმინისტრაციამ აუკრძალა მაჰმადიან გამანთავისუფლებელ კომიტეტის განყოფილებას მოქმედება მაშინ, როცა მოწინააღმდეგენი თავისუფლათ თარეშობენ. ისინი ყოველ ღონეს ხმარობენ რომ ამ კომიტეტს ხალხის თვალში სახელი გაუტეხონ. მათ შეუმუშავებიათ ახალი მემორანდუმი ინგლისელებისთვის მისართმევათ, რომელშიაც ადგილობრივ ხალხი ითხოვს სამხრეთ-დასავლეთ რესპუბლიკასთან შეერთებას. ამათ უკვე მოუსწრიათ ზოგიერთ სოფლებისთვის ხელის მოწერინება ეჭვი არაა ამ ხელმოწერილ მემორანდუმს გაგზავნიან სამშვიდობო კონფერენციაზე, ვითომდა ხალხის სურვილის გამომხატველს.

## მთავრობის წრეებში

22 თებერვლის სხდომაზე მთავრობამ დაადგინა:

ეცნობოს გენ. უოკერს, რომ საქართველოს მთავრობა თანახმაა დაარსდეს კომისია სომეხ-ქართველთა ომის გამომწვევების პასუხისმგებლობის გამოსარკვევად.

—

ბატონ მაჩაბლის დეპეშის შესახებ, რომ გენ. დენიკინის ბრძანებით თერგის ოლქის ქართველობამ უნდა დასტოვოს თერგის ოლქის საზღვრები— წინააღმდეგ შემთხვევაში 18—45 წ. გაწვეულნი იქნებიან ბოლშევიკებთან საბრძოლველად.

ამის შესახებ მთავრობამ დაადგინა: ეცნობოს ინგლისის მისიას მაჩაბლის დეპეშის შინაარსი და ეთხოვოთ მათ გავლენა მოახდინონ გენ. დენიკინზე, რათა მან შესცვალოს თავისი დამოკიდებულება ქართველებისადმი. წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველოს მთავრობა იძულებული იქნება აქაურ რუსების წინააღმდეგ მიიღოს იგივე ზომები ურთიერთზე ზეგავლენის პრინციპის მიხედვით.

—

გადაიდოს 500,000 მან. თანხა შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებაში ლტოლვილ ქართველთა გადმოსაყვანად და მათ მოსაწყობად.

—

მიემართოს მეომართა დამხმარე კომიტეტს მონაწილეობა მიიღოს ლტოლვილთა საქმეების მოგვარებაში.

—

შინაგან საქმეთა სამინისტროს მოხსენების შესახებ სომხეთთან და ადერბეიჯანთან დასადებ კონვენციების შესახებ მთავრობამ დაადგინა კანონპროექტი დამტკიცებულ იქნეს და დაევალოს გარეშე საქმეთა სამინისტროს აცნობოს ეს სომხეთისა და ადერბეიჯანის მთავრობათ.

—

მიეცეს უფლება ტყვიბულის ქვანახშირის წარმოების მთავარ გამგეს დაუბრკოლებრივ გაიტანოს ადერბეიჯანისა და არარატის რესპუბლიკში გასასყიდლად ქვა-ნახშირი წარმოების საჭიროებისათვის.

—

აღედგინოს მიწად-მოქმედების სამინისტროს სტატისტიკურ განყოფილების საჭიროებისათვის პარლამენტის 15 ნოემბრის კანონით და მთავრობის 25 იანვრის დადგენილებით გახსნილი კრედიტი 356,045 მ. 7 კ.

## ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში

ცენტრალური საარჩევნო კომისია შეუდგა არჩევნების შედეგის განხილვას. ჯერ ჯერობით კომისიამ შესძლო დაემტკიცებია შემდეგი ადგილების საარჩევნო კომისიების ოქმები: ქ.ქ. ქუთაისის, ხონის, სურამის, ლანჩხუთის და ფოთის.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მიიღო ქუთაისის და ლეჩხუმის სამაზრო კომისიათა საქმის წარმოება, საიდანაც შემდეგი შედეგი ირკვევა დამფუძნებელი კრების არჩევნებისა ამ მაზრებში:

ქუთაისის მაზრაში № 1 48.082 ხმა მიიღეს, 2— 5.669, 3 - 1,594, 5—2.382. 8—817, 9—167, 11—5.

ლეჩხუმის მაზრაში № 1 10,747 ხმა მიიღეს, 2—969, 3—38, 5—1383, 8—8, 9—44, 11—2.

## სომეხთა ცხოვრება

**ერობის შემოღება**

შინაგან საქმეთა მინისტრ ა. ხატისოვს სომხეთის პარლამენტისთვის წარუდგენია პროექტი ერობის შემოღებისთვის, სურმალინის, ერევნის და ეჩმიაძინის რაიონებში.

ერობის მომზადება და არჩევნები სამ თვეს დამთავრდება. ამავე პროექტით, ვაგარშაპატი, იგდირი, აშტარაკი, კარაკლისი, დელიჟანი და ჯალალოღლი ქალაქად არიან გამოცხადებული და ქალაქის თვითმართველობას ამყარებენ.

**სომხეთის დიპლომატიური მისია**

ამ დღეებში განახლდება სომხეთის დიპლომატიური მისიის მოქმედება საქართველოში. როგორც გავიგეთ სომხეთის რესპუბლიკის წარმომადგენლად დაუნიშნიათ ინჟ. ტ. ბეკზადიანი, მაგრამ ვიდრემდის იგი შეუდგება თავის თანამდებობის აღსრულებას დროებით მის მოვალეობას შეასრულებ ტ. თუმანოვი.

**ახალი ქალაქის თავი**

ქალაქის საბჭომ 6 თებერვლის სხდომაზე დაშნაკელების ხმის უმრავლესობით ხალხთა თავისუფლების პარტიის წინააღმდეგ აირჩია ერევნის ქალაქის თავად მ. მუსუნიანი, წევრებად კი ს. ეგეზარიანი და ა. ასტვაცატურიანი.

**გენ. უოკერის საუბარი მელიქ-კარაკოზიანთან**

ყარსიდან ალექსანდროპოლში დაბრუნებულ გენ. უოკერმა მიიწვია სასურსათოს მინისტრი მელიქ-კარაკოზიანი და ინგლისის წარმომადგენელი გენერალი ასსერი თავის სალონ-ვაგონში. მათმა საუბარმა ერთ საათს გასტანა. სასურსათო საკითხების გარდა საუბარში შეეხნენ პოლიტიკურ საკითხებსაც. გენერალ უოკერმა განაცხადა, რომ მოკავშირეებმა ღონის ძიება მიიღეს რათა სომხებს დროზედ მიაწოდონ ხორბალი.

**სომხეთის ახალი პრემიერი**

სომხეთის მთავრობის თავმჯდომარის ევროპაში გამგზავრების გამო, მთავრობის ახალ თავმჯდომარედ იქმნა დანიშნული ალ. ივ. ხატისოვი, რომელმაც ამავედროს, შინაგან საქმეთა მინისტრის პორთფელი ჩაიბარა, გარდაცვალებულ არაშის ნაცვლად.

ბ-ნ ხატისოვის მიერ თბილისიდან ერევანში გაწვეულია იური თამამშევი და ექიმი მარქარიანი, პირველი საერობო საქმეთა [illegible] მეორე სახალხო ჯანმრთელობის უწყების მეთაურად.

## პროვოკაცია საქართველოზე

**წერილი კიევიდან.**

როცა კიევში ვიყავი, ხმა გავრცელდა, შემდეგ წერაც დაიწყეს, რომ თბილისი სომხებმა აიღესო.

ქართველებმა, რასაკვირველია, არ დავიჯერეთ, რადგანაც ქართული გაზეთები მოგვდიოდა, ამას გარდა საქართველოს ამბების გაგება ქართულ საელჩოში შეიძლებოდა.

ერთხელ უცაბედად მივედი ფეხს[illegible] მწმენდავთან, დრო რომ მომეკლა დაუწყე საუბარი. ჩამოვარდა ლაპარაკი კიევის ახალ მთავრობაზე; (ეს იყო პეტლიურას შეტევისას).

ჩემი მესაუბრე დაინტერესდა თუ რომელ ნაციას ვეკუთვნოდი და გაიგო რომ ებრაელი ვიყავი (ვეცრუე) შემეკითხა: „ხომ იცი რომ თბილისი ეხლა ჩვენია“ როგორ თუ თქვენია? ვკითხე მე „ჩვენი სომხებისა“ მომიგო მან. მერე შენ საიდან იცი?—როგორ არა, ჩემი თბილელი მეგობარი მატყობინებს იქაურ ამბებს. თუ გსურთ ეხლავე წაგიკითხავთ წერილს?, მე, დავეთანხმე. მან ჯიბიდან ამოიღო წერილი, და ყოველ ფრაზას რუსულად მითარგმნიდა.

ჩვენს გარშემო ხალხი შეიკრიბა, ინტერესობდათ კავკასიიდან მოსული ცნობები. ეს ვაჟბატონი მუდამ ესე შეჰყრიდა ხოლმე ხალხს და საქართველოს ამბებს ატყობინებდა.

წერილში თითქოს ეწერა, რომ თბილისი სომხებმა აიღეს ქართველი ჯარი დაამარცხესო. ქართველები თბილისიდან გარბიან. ყველა დაწესებულებებში, სასწავლებლებში, მაღაზიებში ლაპარაკობენ სომხურად. ჩხენკელი, ჟორდანია, ჩხეიძე, რამიშვილი დახვრიტეს. თათრები, ბერძნები, ოსები და სხვები სომხების მხარეზე არიან და სხ.

მე სუნთქვა მეკვროდა, ვიდრე დაამთავრებდა წერილის კითხვას, და როდესაც მას უნდოდა დიდი თავმოწონებით წერილი დაეკეცა და ისევ ჯიბეში ჩაედო, მე გამოვტაცე ხელიდან და ქართულად დაველაპარაკე.

— შენა ბრძანდები, რომ ყოველ დღე ავრცელებ საზიზღარ პროვოკაციას?

იცოდე, რომ ქართველები შენ სასამართლოში მიგცემენ!

უნდა გენახათ მისი განცვიფრებული სახე, შეშინებული თვალები, მან ზედიზედ კითხვები მომაყარა: „რაო, ქართველი ხარ, მაშ რისთვის მითხარი რომ—ებრაელი ვარო? კაცი სრულიად დაიანა, მე კატეგორიულად განუცხადე რომ წერილს არ დაუბრუნებდი და ვთხოვდი მაშინვე უკან წამომყოლოდა. ამის შემდეგ უცბად დაავლო ხელი მან ყუთს და საჩქაროდ გაეშურა კრეშჩატიკისკენ. ეს წერილი კი მე მაშინვე წაუღე ნაცნობ სომეხ-სტუდენტს რომელმაც წამიკითხა და ნამდვილი ამბავი გამაგებინა.

წერილში ჩექმების მწმენდს სწერდა მისი ცოლი და ულოცავდა მამას ვაჟიანობას, ატყობინებდა შინაურ საქმეებს და ეფიცებოდა ერთგულობას და სიყვარულს.

დარ. ჩიჯავაძე.

## ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოება

ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოება დიდ განსაცდელშია ჩავარდნილი. ერთ დროს ეს საზოგადოება თვალსაჩინო საზოგადოებად ითვლებოდა, დღეს-დღეობით კი სულსა ღაფავს. მთავრობის განკარგულებით, 4 თვის წინად დაინიშნა კომისია საზოგადოების მდგომარეობის გამოსარკვევად და ახალ წესდების შესამუშავებლად, მაგრამ, ამ კომისიამ უფრო დიდ განსაცდელში ჩააგდო ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოება, ისინი განაგრძ აგრძელებენ მუშაობას და დღემდის ვერ მოხერხდა საერთო კრების არჩევნები და ახალ წევრების და გამგეობის არჩევნები. თუ ასე გასტანა ამ საზოგადოებიდან ჩქარა მარტო კედლები დაგვრჩება. კომისიას არ ეჩქარება საქმის დაბოლოება მისთვის, რომ თითო მისი წევრი დღიურად 25—30 მანეთს იღებს.

გარდა ამისა ამ საზოგადოებით დღეს სარგებლობს ყველა გამვლელ-გამომვლელი და თბილისში დაბუდებული საქართველოს მტერნი—რუსთა და სომეხთა ყოფილი ოფიცრობა და მათი ოჯახობა.

ინსტრუქციის 1-ლი მუხლის ძალით წევრებად ირიცხებიან რუსის ლაშქ-

რის ოფიცრობა და მეორე მუხლის ძალით წევრებად ირიცხებიან სამსახურს გარეშე მყოფი გენერლობა და ოფიცრობა და მათი ოჯახის წევრები.

დღეს-დღეობით საქართველოს ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოება ემსახურება და დახმარებას უწევს ჩვენ მტერბს.

მაგალითად შაქარი და ჩაი ოფიცერთა საზოგადოებას გამოაქვს ჩვენს საინტენდანტოდან და ვის ურიგდება ის?! აი ვის.

მაგალითი საზოგადოების წევრი— ოფიცერი დღეს მსახურებს დენიკინისა და სომხის ჯარებში, მათი ცოლები კი თბილისში, არიან ასეთები კი ბევრია, ამათ თავიანთი ქმრის წიგნაკებით გამოაქვთ ყველაფერი ოფიცერთა მაღაზიიდან.

ქმრებს დენიკინები და სომხები არჩენენ და მათ ცოლშვილს კი ჩვენი სამშობლოს საინტენდანტო და ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოება.

სამწუხაროთ საზოგადოებას დღეს სათავეში უდგას ერთი პოლკოვნიკი, რომელიც გვარით ქართველია, მაგრამ სულითა და გულით კი რუსი, რომელიც სასტიკი მტერია ქართული ენისა და საზოგადოებაში ნაციონალიზაციის შეტანისა.

საჭიროა დაუყოვნებლივ საერთო კრების მოწვევა და არჩევნების მოხდენა.

**გულშემატკივარი.**

## მიწათ-მოქმედების მინისტრის განმარტება

რევოლუციის პირველ თვეებში თბილისში შეკრებილ გლეხთა საბჭოების წარმომადგენლებმა ერთხმად დაადგინეს, რომ მემამულეებს ნორმაზე მეტი მამული ჩამოართვას. ასე დაადგინეს მუშათა დეპუტატებმაც. ყველაფერი ეს დააკანონეს ხალხის არჩეულმა დეპუტატებმა. 7 მარტს 1918 წ., მიწის ნორმაც გამოარკვიეს. ამ რიგად ხალხმა გამოსთქვა აზრი იმაზე, რომ არც ერთი მემამულე არ იყოს დატოვებული უმიწა-წყლოდ რომ სოფლის მეურნეობა არ მოიშალოს და ყველამ საკუთარ შრომით იცხოვროს. რასაკვირველია, არავის არ უნდა ჰქონოდა იმის საბუთი, რომ მემამულენი შევიწროვებულ არიან არსებულ პირობების გამო. ასეთი დადგენილება ადვილი ასახსნელია. საქართველოს შეგნებული დემოკრატია არა ჰსჩვევია სხვის დარბევას, განადგურებას და აოხრებას, რაც სხვაგან რევოლუციის დროს არ იყო იშვიათი.

დემოკრატიული სახელმწიფო დაინტერესებულია მით, რომ ყოველ მოქალაქეს ჰქონდეს საშუალება თავისი შრომით იცხოვროს. მაგრამ ზოგიერთი შეუგნებელი ნაწილი ძალადობს, ანგარიშს არ უწევს ხალხის გულისპასუხს და ისაკუთრებს იმ მიწებს, რომელიც ნორმას მიხედვით დატოვებული აქვთ მემამულეებს, და მფლობელობის ნებას არ აძლევენ.

ამის გამო ვალდებული ვარ განვმარტო, რომ ნორმის მიხედვით დატოვებულ მამული ყველა მემამულე ჰფლობს როგორც ნამდვილი მესაკუთრე და ნება არავის არა აქვს, მისი მამული ვინმემ ძალად მიისაკუთროს. ამისთანა შემთხვევებში ყოფილ მემამულეებს სრული უფლება აქვთ მოძალადეებს სასამართლოში უჩივლონ და ზარალი აანაზღაურებინონ დამნაშავეს. სასამართლოს დადგენილება დაუყოვნებლივ იქნება სისრულეში მოყვანილი. ძალადობა მემამულეებზე ანარქიას აძლიერებს, რაც ძნელი ასატანია, მეტადრე ახლა.

მოვუწოდებ სოფლის საზოგადოებას, იბრძოლონ ამ მოვლენასთან და ამით ააცილონ სასამართლოს და ადმინისტრაციას ამ საქმეში ჩარევა. ხალხმა არ უნდა მისცეს მიზეზი ჩვენ მტრებს, ათქმევინონ, თითქოს ძველ მემამულეებს დემოკრატია ავიწროვებდეს. ამასთან ერთად სავალდებულოა მიწათ-მოქმედების სამინისტროსათვის და მის ორგანოების წარმომადგენელთათვის რომ მიწის რეფორმა ცხოვრებაში გაატარონ და ყურადღება მიაქციონ ზემო-მოყვანილ მაგალითებს და ყოველგვარი ღონისძიება მიიღონ საქმის რიგიანად მოწყობისათვის.

მიწათ-მოქმედების მინისტრი

**ნ. ხომერიკი.**

# დეპეშები

(საქ. დეპ. სააგენტო).

## გერმანული პრესა

**გერმანულ ავსტრიის საგარეო საქ. სტ.-სეკრეტარი ვეიმარში.**

გერმანულ ავსტრიის საგარეო საქმეთა სტატს-სეკრეტარი ვეიმარში ჩავიდა იმ მიზნით, რომ მჭიდრო კონტაქტი დაიჭიროს გერმანიის ცენტრალურ მთავრობასთან და დაიწყოს ბერლინში მოლაპარაკება გერმანულ-ავსტრიის გერმანიის სახელმწიფოსთან შეერთებაზე. გაზეთი „დეიტშე-ალგემეინე ცეიტუნგი" პირველ გვერდზე შემდეგ წერილს ათავსებს: „ჩვენ მივესალმებით სტატს-სეკრეტარის ჩამოსვლას, განსაკუთრებულ სალამს უძღვნით მას, როგორც წარმომადგენელს მოძმე ხალხისას, რომელმაც გერმანიასთან შეერთების სურვილი გამოსთქვა. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მოლაპარაკება, რომლის წინამორბედია სტატს-სეკრეტარ დ-რ ბაუერის ჩამოსვლა, განახორციელებს გერმანიის პრეზიდენტის სიტყვას — „ავსტრიის გერმანელნი გვეკუთვნიან ჩვენ, და ჩვენ მათ".

**პოლონელთა იერიშები პოზნანში.**

ცენტრალური მთავრობა იუწყება: პოლონელები განაგრძობენ იერიშებს პოზნანში. მტკიცდება ხმები, რომ პოლონელებს კომარის დაჭერა უნდოდათ. ვიეზენბაჰში (რავიჩის აღმოსავლეთით) პოლონეთის სარდლობამ განაცხადა, რომ ის არ დაიცავს მოკავშირე სახელმწიფოებთან დადებულ ხელშეკრულებას და განაგრძობს წინსვლას.

**ბავარიის საბჭოთა ყრილობა.**

მიუნხენში სამშაბათს მოწვეულ ბავარიის საბჭოთა ყრილობას ჯერჯერობით არავითარი გადაწყვეტილება არ გამოუტანია. სხდომაზე მოვიდნენ ყოფილი სახალხო რწმუნებულნი და მოუკიდებელი სოც.-დემოკრატები ჰააზე და ბარტი. უკანასკნელმა წარმოსთქვა სიტყვა. სხდომა გადადეს. უკანასკნელი ცნობებიდან სჩანს, რომ სხდომის უმრავლესობა არ ეთანხმება მემარცხენე ელემენტებს გამოაცხადონ საბჭოთა რესპუბლიკა.

**აზნაურების დაპატიმრება მიუნხენში.**

მიუნხენში ზედვლებათ დააპატიმრეს მრავალი აზნაური ოფიცერი და მემამულე. ამათ რიცხვშია ცნობილი გრაფი ტორინგი, პროფ. ფონ ბისინგი, (ბელგიის ყოფილი გუბერნატორის ვაჟი) და ყოფილი სამხედრო მინისტრი კრესენშტეინი.

ბავარიის მეორე და მესამე საარმიო კორპუსების ჯარისკაცთა საბჭო მოიწვიეს 26 თებერვლისათვის იმისთვის, რომ მიუნხენის საბჭოთა მთავრობას გადასცენ ულტიმატუმი, სადაც მათ მოთხოვენ კონსტიტუციის აღდგენას, შეაჩერონ მიუნხენის მოქალაქეთა შეიარაღება და დაუყოვნებლივ მოიწვიონ ლანდტაგი. ჰამბურგში, ალტონში და ვანდსბეკში საალყო წესები მოხსნეს.

## ფრანგული პრესა

**საზავო კონფერენცია**

(დასაწყისი არ მიგვიღია). საზავო კონფერენციაზე ფიქრობენ, რომ ელზასელები რაც შეიძლება მოკლე ხანში უნდა გაუთანასწორონ საფრანგეთის მოქალაქეებს უფლებრივად და სასტიკ ზომებს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში უნდა მიმართონ. ამიტომ კონფერენცია წინააღუდგება ყველა იმ პროექტს, რომელიც გაახანგრძლივებს განსაკუთრებულ მართველობას და მცხოვრებლებს საშუალებას წაართმევს ისარგებლონ რესპუბლიკის კანონებით.

კონფერენციის პრეზიდიუმმა ორშაბათის სხდომაზე შემდეგი საკითხები განიხილა: ბელგიის კომისიის წევრის თხოვნა, რომ გამოარკვიონ მისი რწმუნებულება, სამხედრო ექსპერტების მოხსენება იმ ზომების შესახებ, რომელიც უნდა მიიღონ ტრანსილვანიაში რუმინელებსა და ჰუნგრელებს შორის უთანხმოების ასაცილებლად. და კავკასიის სომხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის (გვარი დამახინჯებულია) და სომეხთა კომიტეტის თავმჯდომარის პოღოს ნუბარფაშის მიერ წარმოდგენილი სომხეთის მოთხოვნილებანი.

ოთხშაბათს გომპერსის თავმჯდომარეობით შესდგა შრომის საერთაშორისო კანონმდებლობის კომისიის მე-4 სხდომა, განიხილეს ინგლისის პროექტის ის მუხლები, სადაც ლაპარაკია იმაზე თუ რა ზომებს მიმართონ იმ სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომელიც საერთაშორისო კანონმდებლობის კონონმდებლობის მოვალეობას არ შეასრულებს.

**ჩეხო-სლოვაკთა პრესბიუროს ცნობა.**

ჩეხო-სლოვაკთა პრესბიურო შემდეგს იუწყება: გაზეთებში დაბეჭდილის გერმანულ წყაროებიდან მიღებული დეპეშა, სადაც ნათქვამია, რომ პრაგაში შაბათს უწესოება დაიწყო. ეს ცნობა ყალბია.

## ბოლშევიკური ცნობები

**მოსკოვი.** თებერვლის 27. (ც. ა. კ. ბეჭდვითი ბიუროს ბიულეტენი. დასაწყისი არ არის. მილეროვის მიმართულებით სად. მილეროვის სამხრეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით მოწინააღმდეგემ შემოგვიტია. ჩარსკის რაიონში დონის მარჯვნით ჩვენმა ნაწილმა დაიჭირა სად. კობილინსკაია, ესაუსვსკაია და პეტესიკინსკაია. ცარიცინის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენ დავიჭირეთ აკსაი, ხელთ ვიგდეთ 3 ტყვიის მფრქვეველი, თოფები და სხვა სამხედრო მასალა.

**აღმოსავლეთის ფრონტი.** აქტიუბინის მიმა[illegible]იაისანი დავიჭირეთ №-ის არმიის შტაბი. ყაზახთა ბანდისაგან დონის 2 ოლქი გაიწმინდა. ყველგან არსდება რევ. კომიტეტები.

**კიევი.** თებ. 23. უმანის ახლო უკრაინის საბჭოთა ჯარის და პეტლიურას ჯარს შორის ბრძოლა გრძელდება. ქალაქს სამი მხრიდან საბჭოთა ჯარი არტყია. საბჭოთა ჯარს მიემხრო ტარასენკოს, ზვენიგოროდის და უმანის მაზრის აჯანყებული გლეხები. პეტლიურას ჯარი უმანიდან კაზატინისკენ მიდის. პეტლიურას ფრონტებზე საბჭოთა არმია წინ მიიწევს. გუშინ დილით უკრაინის საბჭოთა ჯარმა სადგური (?) დაიჭირა.

დირექტორიის ჯარის უკან დახეული ნაწილი ბროვკაში იმყოფება. კაზატინს პეტლიურას ჯარი სცლის. უკრაინის ჯარის მიერ ფასტოვის აღებას დიდი მნიშვნელობა აქვს მომავალში ოპერაციის განვითარებისთვის. ფასტოვის ასე მალე აღება ამტკიცებს პეტლიურას ჯარის დემორალიზაციას.

**იამბურგი.** 25 თ. ნარვის ფრონტზე წითელი ჯარი განაგრძობს შეტევას. უკრაინის საბჭოთა ჯარი ჟიტომირს უახლოვდება. ბოლშევიკების მოახლოვების შემდეგ რევოლუციონურ წრეებს გამოცოცხლება დაეტყო. ჩვენ ჯარს უერთდებიან აჯანყებული გლეხები და მუშები. რევოლუციონური არმიის ნაწილები როვნოდან რამდენიმე ვერსით არიან დაშორებული. ქალაქი პეტლიურას ჯარმა სულ დასტოვა კომუნისტ სომხების ინიციატივით კიევში შესდგა კომუნისტთა წრე, რომელშიაც შედიან ქართველები, სომხები ლეკები, თათრები და კავკასიის მთიელნი.

**ნაუენი.** თებერვლის 26. მიუნხენში სპარტაკელებმა რამდენიმე რედაქცია გაანთავისუფლეს. გამოდიდა შეიდემანელების და დამოუკიდებელთა ორგანოები და „მთავრობის უწყებები". ბურჟუაზიული გაზეთები მხოლოდ წინასწარ ცენზურით გამოვა. გერმანულ ავსტრიის დამფუძნებელი კრება გაიხსნება 25 თებერვალს.

**ჩერნიგოვი,** თებერვლის 24. კიევის გაზეთები იუწყებიან, რომ რუმინიის წინააღმდეგ ბესარაბიაში აჯანყებაა, რომლის ჩასაქრობათ რუმინიამ საოკუპაციო ჯარი ჰუნგრეთიდან ბესარაბიაში გადაიყვანა.

**კიევი,** თებერვლის 26. „ვარშავსკაია რეჩი" იუწყება, რომ პოლონეთის გენერალურ შტაბის უფროსმა გენერალმა შეპტიცკიმ საზღვარ გარეთულ გაზეთის თანამშრომელს შემდეგი განუცხადა: მოკავშირეებს დღემდი არაფერი გაუკეთებია პოლონეთისთვის. ისინი მხოლოდ პირდებიან, და ხელს უშლიან პოლონეთში გენერალ გალერის რაზმის დაბრუნებას.

**ბოლშევიკური ცნობები.**

**მოსკოვი,** თებერ. 26. ეკატერინოსლავის უწყებებში დაბეჭდილია უკრაინის სამხრეთ დასავლეთის ჯარის სარდლის დიბენკოს შემდეგი განცხადება: პეტლიურას ჯარი აღარ არსებობს და საბოლოოთ განადგურებულია. მისი საუკეთესო ნაწილები საბჭოთა მთავრობის მხარეზე გადავიდა. მოხალისეთა ჯარი სულს ლაფავს. თეთრი გვარდიელები ბოლო დროს შეერთებას სცდილობენ და დაკარგეს დიდძალი ხალხი და იარაღი. მათი ცდა ძალით მოეხდინათ გლეხების მობილიზაცია, სრულიად უნაყოფო გამოდგა. გლეხები ყოველ დღე გადმოდიან წითელი არმიის მხარეზე მოკავშირეებზე დამყარებული ბურჟუაზიულ კლასის იმედები იღუპება. სამხრეთით ყველგან აჯანყება ხდება თეთრი არმიის წინააღმდეგ. რამდენიმე ალაგას თეთრი გვარდიის წინააღმდეგ საბრძოლველათ ქალები და ბავშვებიც გამოდიან ხალხის სულიერი განწყობილება ისეთია, რომ თეთრგვარდიელთა ოდნავი გამარჯვება ბურჟუაზიის განადგურებას გამოიწვევს.

**ხარკოვი.** თებ. 25. საბოლოოდ გადაწყდა, რომ უკრაინის საბჭოთა მთავრობა ხარკოვიდან კიევში გადავა.

**გემი „ზელანდია".**

გემი „ახალი ზელანდია" რომელიც იმყოფება ლორდი და ლედი ჯელიკო, გამოვიდა პორტსმუტის ნავთსადგურიდან დიდი წვიმის და სამხრეთ დასავლეთის ქარის დროს.

**გერმანიის ფლოტის განადგურება.**

გაზეთების ცნობით, ინგლისის საადმირალო საზავო კონფერენციაზე მოითხოვს, რომ გერმანიის ფლოტი, რომელიც დანებდა მოკავშირეებს ატლანტიის ზღვაზე, ჩაძირონ და რომ ჰელ-გოლანდის ფორტები გერმანელ მუშებს გაანადგურებიონ გერმანიის მთავრობის ხარჯით.

**სამოქალაქო ომი მიუნხენში**

ბავრიის პრემიერის ეისნერის მკვლელი ბავარიის ერთი ცნობილი გვარეულობის წარმომადგენელია. ფიქრობენ, რომ მკვლელობა რეაქციონურ მოტივებითაა გამოწვეული. მიუნხენში სამოქალაქო ომი დაიწყო, სავაჭროები გაძარცულია და [illegible] სროლაა.

**ოსმალეთის ზარალი ომში**

ოფიციალურ გამოანგარიშებით ოსმალეთის ზარალი ასეთია: 443,000 მოკლულია, 408,000 დაჭრილი და 104,000 ტყვედ წაყვანილი.

# ჟურნალ-გაზეთებიდან

**ფოსტა-ტელეგრაფის კონვენცია ადერბეიჯანში.**

ადერბეიჯანის მთავრობამ საქართველოსთან და სომხეთთან ფოსტა-ტელეგრაფის კონვენცია შეჰკრა. ამასთანვე კასპის მთავრობასაც ჰსურს ასეთივე კონვენცია დადოს, რისთვისაც წარმომადგენლები გაგზავნა. ახხაბადის მთავრობამ კონვენციაზე უარი განაცხადა, რადგან იგი ადერბეიჯნის დამოუკიდებლობას არა სცნობს და ამიტომ ფოსტა-ტელეგრაფის კორესპონდენცია ძველებურად უნდა სწარმოებდეს.

**ოსმალეთში.**

გაზეთი „ტერჯუმან ხაგიგეტი"-ს სიტყვით, ოსმალეთში დააპატიმრეს შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი ისმაილ ჯანბულათ-ბეი, სურსათის ყოფილი მინისტრი ქიამილ-ბეი, პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე ჰაჯი-ადილ-ბეი, პარლამენტის ყოფილ თავმჯდომარის პირველი ამხანაგი ჰუსეინ ჯაიდ-ბეი, პარლამენტ. ყოფილი წევრი ხუსეინ ყადრი-ბეი, პარლამენტის ყოფილი წევრი სტამბულის კარასო, პარლამენტის ყოფილი წევრი ხუსეინ დოსუკ-ბეი პარლამენტის ყოფილი წევრი ბრუსი რაბა-ბეი, პარლამენტის ყოფილი წევრი მიტრად შუკრი-ბეი, პარლამენტის ყოფილი წევრი სულიბეი, იმბირა რახმი ბეი, ცენტრალურ კომიტეტის წევრი ზიაკოკ აიპ-ბეი, ტეფიკ რუშტი-ბეი, ბადრალიან-ბეი, ნეჟიდად-ბეი, ფერიდ-ბეი, სალახლიმ ბეი, ცენტრალურ კომიტეტის მდივანი სულიმ-ბეი, ტეფიკ ხადი ბეი, ჟაინგ ბაიქ-ბეი, დარვიშ ეფენდი.

# ხომერიკი პროვინციაში.

დამფუძნებელ კრების არჩევნები კიდეც დასრულდა. პარტიათა ინტენსიურ ჯირითში სოციალ-დემოკრატებს ერგოთ გამარჯვება.

ისინი ხომ გამოცდილად და ორგანიზაციულად აწარმოებენ ბრძოლას.

არჩევნების შედეგად დარჩა სამწუხარო ფაქტი: გაბატონებული პარტია კვლავ იბატონებს.

მაგრამ სოციალ-დემოკრატების გამარჯვებით საქართველოში დამარცხდა სოციალიზმი.

საქართველომ დაამარცხა სოციალ-დემოკრატების პოლიტიკური პროგრამა, მათ ცენტრალიზმს სუვერენობამ პანაშვიდი გადაუხადა, და კერძო საკუთრების აღიარებამ, მიწის ყიდვა-გაყიდვის უფლების გამოცემამ მათი აგრარული მოძღვრება დაასამარა.

მათი ილლიუზიები და ქიმერული ოცნებანი ცხოვრებამ ძირს ჩამოისროლა და ფაქტების სიცხადემ მათი დაპირებანი მტვრად აქცია.

ამის დამამტკიცებელია მიწათ-მოქმედების მინისტრის ხომერიკის აღსარება, თქმული მის მიერ პროვინციის სხვა და სხვა კუთხეში.

ჩვენ ყურადღებით ვუსმენდით ბ-ნ მინისტრის იდუმალ აღსარებას და ამ აღსარებაში ვხედავდით უცნაურ მსხვრევას პოლიტიკურ პარტიის პროგრამისას; ჩვენ გვესმოდა სიტყვები, რომლებიც გზა და გზა ამსხვრევდნენ იმ კეთილ დაპირებებს, რომელიც ჩვენ წარსულ არჩევნებში მოგვისმენია, როდესაც ქართველი მოქალაქის ხმები რუსეთის დამფუძნებელი კრებისათვის ითვლებოდა. მაშინ სოფლელი პროპაგანდისტები აჭრელებდენ სოფლებს სოციალ-დემოკრატიულ დაპირებებით. „მიწა საკუთრებად გლეხს და უფასოდ".

ეს იყო წარსულში.

ჩვენ გვიკვირდა მაშინ სოციალისტების მიერ კერძო საკუთრების მიღება და ამ ნიადაგზე იყო ჩვენსა და მათ შორის ბრძოლა.

ისინი კი ჩვენ გვამხელდენ ხალხის წინაშე, რომ ჩვენ ვიცავთ მემამულეებს, რადგანაც გლეხს მიწაში ფულს ვახდევინებდით.

ჩვენ გვწამდა, რომ ის, რაც ევროპის სახელმწიფოების საზღვრებში არ მომხდარა, არც საქართველოში მოხდებოდა. ჩვენ გვესმოდა, რომ ფინანსიურად ღარიბი საქართველო უფასოდ ვერაფერს ვერ გასცემდა და ერთ მტკაველ მიწას ვერ დაუსაკუთრებდა თუნდაც სულ უმიწაწყლო გლეხს.

მაგრამ განა ჩვენი მოსაზრება მაშინ მისაღები იყო? მაშინ იყო საჭირო ხმები, ხმებისთვის დაპირება და დაპირება კი უცნაურ სიცრუეს მოითხოვდა.

# ტრფობა წამებული

(ისტორიული რომანი)

11.

აშოტის ცოლ-შვილი და მათთან ერთად ლტოლვილი ხალხი ის იყო გადასცდნენ მთას და დაეშვნენ სანსრებისაკენ, რომ უწია მათ შემაძრწუნებელმა ამბავმა: მოკლე გზებით წამოსული სხვა გამოქცეულები შეუერთდნენ მიმავალ ქარავანს და უამბეს, მტერი აჩქარებული მოგვდევს და თუ ჯერ არ მოსწდომია მეფეს, მალე წამოეწევაო. შეშინებულნი ერთმა აზვიადებდნენ მტრის ძალას თუ რიცხვს, მთასა და ველს მოაბნელებენ, კალიასავით მოედნენ არემარესაო. მიუთხრეს ეს ავი ამბავი დედოფალს. შეკრთა გურანდუხტ, სასოწარკვეთილებაში ჩავარდნენ ყველანი. აჩქარდა მგზავრობა, გარდაიქმნა იგი რბენად. აირია წესი მსვლელობისა. მალე მთლადაც დაირღვა წეს-წყობილობა. ყველა ცდილობდა ადრე გაესწრო, მეტ მანძილზედ დაჰშორებოდა მოწევნილ მტერსა, რომ მეტი იმედი მისცემოდა თავის გადარჩენისა. მეტადრე შეაშფოთეს და შეაძრწუნეს ხალხი იმ გულსწრაფებმა თუ მხდალებმა, რომელნი მხედრ ვიდოდნენ მათთან. დაწინაურდნენ იგინი. ძალზედ მიერეკებოდნენ ჰუნეებს და შიშის ზარს უძლიერებდნენ ჩამორჩომილებს, რომელნი ულონო შვრით გაჰყურებდნენ მსწრაფლმიმავალთა გზა-კვალს. გაძლიერდა ოხვრა და დრტვინვა. ზოგი გამოეყო ჯგუფებს და დაეშვა ხევებისაკენ სამალავის საძებნელად. ასტყდა კრულვა-ტირილი ქალთა თუ ბავშვთა, გოდება საზარელი უმწეო ქმნილ ხალხისა. ჩაიხურგა შარა. მეფის ოჯახსაც კი დაუბრკოლდა სავალი. დედოფალი ჯერ დაიბნა, მაგრამ უკიდურესმა გაჭირვებამ და ძლიერმა სურვილმა, გადაერჩინა განსაცდელისაგან თვისი შვილები, უკანასკნელი ღონე მოუკრიბა მას, მტკიცედ დააყენა სამოქმედო გზაზედ. იმან უფრო იმოქმედა მანდილოსანზედ, რომ ხმა გავრცელდა, დედოფალს და მის შვილებს ჰყურთ მსწრაფლ გადიხვეწნენ ცხენდაცხენ. თქმამ სინამდვილის სახე მიიღო ხალხის თვალში, უკვე მომხდარი ამბისა. კიდეც გაქცეულაო დედოფალი, ამბობდნენ.

— დედოფალო, ხალხი დრტვინავს და მრისხანებს. ამბობენ, ხელმწიფემაც, მისმა ცოლმაც მტრის გულისად გაგვხადეს; ამ ჯოჯოხეთის ჟამს აშოტი თან არა გვყავს, დედოფალიც სადღაც გადახვეწილა თავის შვილებითაო.

შეაშფოთა გურანდუხტი ხალხის უმადურობამ, განარისხა უბადრუკმა მითქმა-მოთქმამ, ბრძანა:

— მომგვარეთ ცხენი! ვერ სთქვას ვერავინ, ხალხის მეთაურნი მხოლოდ თავის თავს იფარავენო.

მოართვეს. შებრძანდა. გაემართა. შეუდგნენ მის კვალს ხალხის არევით ილაჯო ქმნილი მოწესეები. იქ მიჰმართა ძუ ვეფხვმა, სად მეტი იყო ხმაურობა, დრტვინვა, წუხილი. მის დანახვაზედ გონს მოვიდა ხალხი, შესდგა, დაწყნარდა, დაყუჩდა. სიცხვილის ალმა აჰკრა კაცებსა. გაისმა დედოფლის ხმა:

— ნუ გეშინიათ! ნუ შეძრწუნდებით! არ გაგვწირავს ღმერთი კეთილი და მის შეწევნით მეფე აშოტი. და თუ მოხდა უბედურობა, პირველი მსხვერპლი ვიქნები მე ჩემის შვილებით!

შეეცადა რაიმე წესი ჩამოეგდო არეულ ხალხში, კვლავ აიმაღლეს ხმა მოწესედ განჩინებულებმაც. ყურნი ხალხისა განიხუნეს სმენად. ნელნელა დამყარდა წესი თუ რიგი. გაწმინდეს გზა. შესძლეს ჰაზრიანად წინსვლა. დედოფალი თავის ამალით თავს დასტრიალებდა მიმავლებს და თავისი სუსტი ხმით თუ მაგალითით გულს უმაგრებდა მათ, ამხნევებდა დაბეჩავებულთ.

— დედოფალი სწირავს თავს და თავის შვილებს! დეე, მეც მათთან ვიყო, ფიქრობდა ყველა.

და ცდილობდა გაემხნევებინა თავისი თავი, შეესუსტებინა ის შიშის ზარი, რომელს გაევსო გული მათი დაბზარულდაწყლულებული. გონს მოსულ მამრს შერცხვა უიმედობისა; უნდოდათ აწ ვაჟკაცად ეჩვენებინათ თავი, სიკვდილის არად მიმჩნევ რაინდებად, რომ ლეჩაქი თუ მანდილი არ მოჰხვეოდათ თავს ნაცვლად მუზარდისა თუ ჩაფხუტისა. დედოფალი აღარ ჩაბრძანდა ურემში: მასში გაჰღვიძებოდა მებრძოლ წინაპართა სული და ამაყად თავს დასდგომოდა ბედს უკუღმა შებრუნებულს.

— არავინ სთქვას: აშოტის სახლი უბრძოლველად ემონა მტერსა. ვერ დავანებებ სამეფო გვირგვინს სისხლი დაუნთქმევლად. უკუნისამდე უნდა ამშვენებდეს ბაგრატიონთ შუბლს გვირგვინი ცით-მონაღები. ვიხილავ მის ბრწყინვალებას თავზედაც ადარნასესი, ჩემის პირმშოსი. თუ ბედმა უმუხთლა მის მამას დაღონებულს, თუ დაიღუპა იგი ბრძოლაში, მე თითონ შევსძლო გამოვსტაცო ხელიდან მტარვალთ სკიპტრა სამეფო! ფიქრობდა ძუ ლომი.

და ვაჟკაცურ მხნეობას იჩენდა გაჭირვებაში, ჰაზრიან სარისტიანობას. დედოფალს მაინც ჰქონდა იდუმალი იმედი, რომ მიაღწევდა ზემო სახსრის მღვიმეებს და მოასწრებდა იქ შვილების დამალვას, რომ მერე ბიზანტიას გადაეყვანა ისინი და აღეზარდა კეისრის კარსა. ესე ჰქონდათ ცოლ-ქმარს მოლაპარაკებული, ესეთი გეგმა წინცა აშოტმა თავის მეუღლეს და მის ერთგულ თანმხლებელ იოთამეს.

გავიდა ხანი. მდევარი მაინც არსად გამოჩნდა, თუმცა გადმოხვეწილთა სიტყვით, მტერი უკვე უნდა გადმოფენილიყო მათ მისაწევრად. დაუახლოვდნენ მიმავალნი სახსრის გვირაბებს. შენიშნეს მათკენ მსწრაფლ მიმავალი ცხენოსნები. შეშინდნენ: ეგონათ, დაჰკრა წამმა აღსასრულისა.

მათკენ მფრენნი დაუახლოვდნენ ბანაკს, ხელმანდილნი აფრიალეს ნიშნად ხარებისა. შედგა დედოფალი და მისი ამალა. მივიდნენ, გადმოხდნენ, თაყვანისცეს. მიულოცეს დიდი გამარჯვება.

— მტრის ძალა მთლად შეიმუსრა. მეფემ თავისი ხელით მოკლა მათი მთავარსარდალი. წინაწარიქციეს სარკინოზნი. სდევნიან ოტებულთ. გვიბრძანეს, მსწრაფლ გვეცნობებინა თქვენთვის ყველა ეს. ისიმე ნიშანი მეფისა! სთქვა და მისწოდა დედოფალს აშოტის ბეჭედი. სიხარულის ელდამ ალმასის ფრთა გაჰკრა გურანდუხტის გულს: ღვთის რისხვას ელოდა, ანაზდად ეწია წყალობა ძლიერისა; ბნელისთვის მიეპყრო თვალნი, ნათელმა გამოუშუქა ყოვლად ბრწყინვალემ; ეგონა, დაჰკრა წუთმა უბედომ, ბედნიერ საათს ჩამოევლო მლიმარ-მოცინარეს. ვერ დაიტია გულმა სიხარული მოულოდნელი, თვალმა ვერ უძლო ბნელის მკვრეტელმა სინათლის სხივებს გაკაშკაშებულს და დაეხუჭნა თვალნი დედოფალს, მიელო ღონე, განქრა მისი ნებისყოფა ხელოვნურად აღყინებული; მოშვებულ-მოდუნებული მანდილოსანი მიესვენ მკლავზედ, რომელი ანაზდად შეაშველა თვალხმიერმა თანამხლებელმა. მალე გადუარა სიხარულის ელდამ, მობრუნდა. გაიღიმა, მადლი შესწირა ყოვლადსახიერს.

ელვის სისწრაფით გავრცელდა ბანაკში ამბავი სასიხარულო. მოეწმიდა ხალხს ჯავრის ბურუსი. უხვად დაასაჩუქრეს მახარებელნი. სიმღერით ჩაიარეს ქვემოსანსრამდის. ქორწილისებური ზეიმი გაიმართა იქ. დედოფლის საფასით იქმნა ხალხი დაპურებული: ქვიშასავითა ჰფანტავდა ვერცხლს სიხარულით აღტაცებული. გულწრფელად იხარებდა ერი მრავალტანჯული, ბოროტს სასწაულებრივ განრინებული. ის ღა სჩრდილავდა ხალხის სიამეს აღტაცებულს, რომ მათთან არ იყო აშოტი მხსნელი; ესწრაფებოდათ პირისპირ ნახვა ძლევამოსილისა. იქ არ იყო მეფე — სარდალი, გატეხილ მტერსა სდევდა ის გაბნეულ-გაფანტულს, რომ ფეხი არ მოეკიდებინა სადმე მახლობლად, არ გაძლიერებულიყო ისევ, წარკვეთილი თავის მაგივრად სხვა ორი თავი არ ამოსვლოდა უბოროტესი, საზიზღარ-საზარელი, მეტად საშიში.

**ვასილ ბარნოვი.**

(გაგრძელება იქნება)

მაშინ არ იყო ხმებისთვის საჭირო სოფლად მინისტრების მაციონი საალსარებოდ, მაშინ საკმარისი იყვნენ პროპაგანდისტები, რადგანაც დაპირებას ისინიც ახერხებდენ, მაგრამ დღეს რა მოხდა?

დღეს ხომერიკის ავტომობილის ჩქარი ქროლვაც საჭირო შეიქნა.

ხომერიკის მოღვაწეობაში იცვალა მრავალი რამ და წარსული დაპირებათა მშვენიერება თვით მინისტრის კანონმა გაანადგურა. პირდარცხვენილი პროპაგანდისტები დღეს ხალხში ვერ გავიდოდენ, რადგანაც მათ ვერ შეასრულეს დანაპირები და მომენტის სირთულემ აამოძრავა თვით მინისტრი. „გლეხებმა მიწა უნდა იყიდონო"— ისმის ბ. მინისტრის ბაგეთაგან.

„იყიდით და შემდეგ ის თქვენი საკუთრება იქნება, თქვენ მას დაამუშავებთ, დაანოყიერებთ, შემოფარგლავთ, თორემ თუ თქვენ არ ხართ დარწმუნებული იმაში, რომ ეს ნაჭერი მიწა თქვენი საკუთრებაა, მაშინ ცხადია ყურადღებასაც არ მიაქცევთ" —განმარტავს მინისტრის თეზისებს პარლამენტის წევრი გრ. ურატაძე.

ვისმენთ ამ სიტყვებს და გვაგონდება შორეული წარსული. ყველა ამას ჩვენ ვამბობდით, ყოველივე ეს ჩვენია, ჩვენს მიერ თქმული და ვაგლახ, რომ ამას დღეს სოციალ-დემოკრატები იმეორებენ. მართალს ამბობდენ სოც.-რევოლიუციონერები: „ვინ ხართ თქვენ? სოციალისტები თუ ეროვნულ-დემოკრატები?"

დიახ! ბ. მინისტრმა დიდი ვექილობა გაუწია ეროვნულ-დემოკრატების აგრარულ პროგრამას და აღნიშნა მისი სრული რეალობა.

ხალხის თვალში ვერც ის იქნა დაფარული, თუ როგორი განსხვავებაა ჩვენსა და მათ შორის მიწის კანონში.

ჩვენი საყვედური მიწის ნორმის აუცილებლად გადიდების შესახებ ხალხის მიერ ცნობილ იქნა სამართლიანად.

ხომერიკის მცირე საჩუქარი 7 ქცევა ვერ იქნა ხალხის სურვილის გამოხატულებად.

მათი ძალდატანება, მუქარა და მრავალი სხვა არა დემოკრატიული ზომები ამას ცხადად მოწმობენ.

მ. მეგრი

# სიტყვა

**სრ.-დ. საქართ. კათოლიკოზ-პატრიარქის წარმოთქმული სვეტი-ცხოველში 23 თებერვალს კათოლიკოზად კურთხევის დღეს.**

მღვდელთ-მთავარნო წმინდანნო, ქრისტეს კრძალულნო მოძღვარნო, სათნო მოსილნო ბერმონაზონნო და ღვთის სიყვარულით შემოკრებილნო მორწმუნეთა დასნო!

მამათმთავრულ ლმობიერებით აღსავსე ლოცვა-კურთხევას და მხურვალე მადლობას მოგიძღვნით თვითეულს, რომ შრომა მიიღეთ. საღმრთო წირვას დაესწარით და გამოსთხოვეთ ჩვენს შემოქმედს ზეციერ მამას, ჩვენს მხსნელს და მაცხოვარს იესოს ქრისტეს და ჩვენს მანუგეშებელს სულს წმიდას მადლი და შეწევნა ჩემი უღირსებისათვის.

მოგეხსენებათ, რომ მღვდელ-მთავრობა საერთოდ და მამათ-მთავრობა კერძოთ განსხვავებული და საკუთარი ბუნების წოდებაა. არსებითად იგი არავის არ ეძლევა ქვეყნიური უმფროსის ბრძანებითა და სურვილით. მღვდელ-მთავრობა ნიჭია ღვთისაგან გამომავალი. „არავინ თავით თვისით მოიღოს პატივი"-ო, დასწერს დიდებული მოციქული პავლე ამის შესახებ, „არამედ რომელი წოდებულ არიან ღვთისა მიერ, ვითარცა აარონ-ო".

მაგრამ ღვთის მადლსა და ყურადღებას ადამიანი იმსახურებს ადამიანებისავე დახმარებით; კაცს ღმერთთან აახლოებენ ისევ კაცები თავიანთი ლოცვით და შუამდგომლობით წინაშე ღვთისა და აი სწორეთ ასეთი დახმარება გამიწიეთ თქვენ დღეს ამ თქვენი სამლოცველო შეკრებით.

ასეთს დავალებას მე ვერაფრით ვერ გადაგიხდით. თუ არა ჩემი მხრითაც თქვენთვის ღვთისადმი მხურვალე ვედრებით. ვდებ აღთქმას, რომ ჩემი ყოველდღიური ღვთისადმი ვედრების მთავარი საგანი იქნება თქვენი და მთელი ქართველი ერის კეთილდღეობა.

საღმრთო განგებამ დამადგინა საქართველოს ეკლესიის მესვეურად და ჭირისუფლად მაგრამ ვძრწი და ვშიშობ, ვაი თუ ვერას გავხდე, ვაი თუ ვერა ვარგორა, ვერ გავფანტო ის საბედისწერო შავი ღრუბლები, რომლებითაც ოთხ-კუთხივ მოცულია დღეიდან ჩემი საჭირისუფლო ეკლესია. შორს წასვლა და დიდი კვლევაძიება არა გვჭირდება ჩვენი ეკლესიის დღევანდელი სავალალო მდგომარეობის გასათვალისწინებლად. ამის შესახებ ყველაზე მჭერმეტყველურად, მკაფიოდ და ხმა მაღლა ღაღადებს თვით ეს ჩვენი დედა ტაძარი სვეტი ცხოველი. აბა, კარგა მიიხედ-მოიხედეთ გარშემო, აბა, გულდადებით გაშინჯეთ აქ ყველაფერი. აბა, გონება მოკრებით ჩაუკვირდით ამ ტაძრის თვითეულ კუთხეს, მის მორთულობას, მაში ღვთის მსახურების შესრულების წეს-რიგს და ბძანეთ, რა არ არის აქ დაძველებული, დანგრეული, მოშლილი, გაცვრცნილი და შებღალული? ჩამპალ-ჩამსხვრეული ფანჯრები, დაფხავებული სახურავი, ნესტით გაჟღენთილი კედლები, უცნაური კანკელი, საცოდავი ნაფლეთები ლა კედლის მხატვრობისა, ორმოებად გადაქცეული იატაკი, დაფლეთილი შესამოსი და ამ ხელა ტაძარში მარტო მღვდლისა და დიაკვნის წირვა-ლოცვა კვირა-უქმეებში სამიოდ მლოცველის თანადასწრებით—აი რას ვხედავთ სვეტი-ცხოველში, რას განიცდის და რა მდგომარეობაში იმყოფება ამ ხელათ ჩვენი დედა ეკლესია!

ამ გულ საკლავ სურათს, როგორც იქნებოდა, შეურიგდებოდა კაცი, რომ მას მხოლოდ სვეტი-ცხოველში ჰქონებოდა ალაგი. სატირალი სწორეთ ისაა, რომ სვეტი-ცხოვლის აღნიშნული მდგომარეობა ნამდვილი სახე და გამოხატულებაა ჩვენი ეკლესიის აწინდელი საერთო დამცირებულ-დაკნინებული ყოფა-მდგომარეობისა. იმას, რაც თვალსა გვტკენს და გულს გვიწყალავს აქ, სვეტი-ცხოველში, შევხვდებით ყოველგან ქართლ-კახეთში, იმერეთში, ოდიშში და გურიაში.

ღვთის სახლი დღეს ჩვენში თითქმის ყველგან პატივ აყრილი და გაჩანაგებულია, დარბეული, დამცირებული და ყოველგვარად შევიწროებულია სამღვდელოება, მორწმუნენი განიცდიან დევნა-შეურაცხებას, ქრისტიანული მოძღვრება და განათლება მრავალთ დაუსახავთ ცხოვრებიდან გასადენ და ამოსაფხვრელ ფაქტად, მოკლედ, დღეს თითქმის ყველანი ამხედრებულან ჩვენი ეკლესიის წინააღმდეგ და მისი მდგომარეობა მოგვაგონებს „კედელსა მიდრეკილსა და ღობესა დაჭენებულსა". აი ესაა, რომ მაშინებს, რომ გულს მიტეხავს და მწარე საფიქრებელში მაყენებს. დედა მიწის პირზე ჯერ არ ყოფილა მაგალითი, რომ რომელიმე ერში ეკლესია დაცემულიყოს, ერს ხელი აეღოს სჯულზე, ერში სარწმუნოებრივი გრძნობა გამქრალიყოს და ამასთან ერთად არ მოსპობილიყოს ასეთი ერის პოლიტიკური არსებობა, არ მოშლილიყოს მისი მატერიალური კეთილდღეობა, არ გამოფიტულიყოს მისი გონება-ზნეობის სალარო.

საყვარელნო! ღვთის მადლით თავი დავაღწიეთ მტრის საზიზღარ ბრჭყალებს, გავითავისუფლეთ ეკლესია, დამოუკიდებლობა მოუპოვეთ სადიდებელ სამშობლოს. მაგრამ სინამდვილე გვიკარნახებს, რომ მარტო ეს არ კმარა, მარტო დამოუკიდებლობის შეძენა დიდი საქმის გარიგებას არ ნიშნავს. საქმე ამ თავისუფლების შენარჩუნება და განმტკიცებაა. თავისუფლება ქვეყნისა უნდა დაიცვათ ისეთი გაუტეხელი სიმაგრით, რომელსაც ხუროთ მოძღვრებაში მონოდიტს უწოდებენ, რომელიც ამოყვანილია მთლიან კლდეზე.

ქვეყანაზე არ მოიპოება მეორე ძალა, რომ ისე აერთებდეს, ისე ათვისებდეს, ისე ადუღებდეს და ასისხლხორცებდეს ერთმანეთთან საზოგადოების წევრებს, როგორც სარწმუნოება. ეს ძალა უნდა გამოვიყენოთ მოპოებული დამოუკიდებლობის განმტკიცებისთვის ჩვენში, ეკლესიის წ-ა საკურთხეველი უნდა შევქმნათ სამშობლოს თავისუფლების წარუხოცელობის ციხე-კოშკის საფუძვლად. ძველი აღთქმის ბრძენთა ბრძენი მეფე ამბობს: „ვითარცა წვიმა მძლავრი ურგებარს, ეგრეთ რომელთა დაუტეონ სჯული. ხოლო მოყვარენი სჯულისანი გარემოივლებენ თავისა თვისისა ზღუდესა" (იგავ. სოლ. 28, 4).

დღეის შემდეგ მე ვიცოცხლებ მარტოდ მარტო იმისთვის, რომ, რამდენადაც შემეძლება, ხელი შეუწყო ქართველ ერში სჯულის შეგნება-განმტკიცებას იმ ანგარიშით, რომ ამით განმტკიცდეს, გაძლიერდეს და გაღრმავდეს ჩვენი ერის თავისუფლება, ჩვენი ერის თვითარსებობა, ჩვენი სუვერენობა და ხელმწიფება. ყოველთვის სამშობლოს სიკეთისაკენ იყო და შემდეგშიაც, სანამ სული მედგმება პირში, აქეთკენ იქნება ჩემი ძახილი. ამიტომ, გთხოვთ და გევედრებით ყველას, ვისთვისაც სამშობლო წმიდათა წმიდაა, ნუ დაჰკარგავთ სარწმუნოებრივ სიმხურვალეს, დარჩით ერთგულ შვილებად მშობლიო ეკლესიისა და თქვენს ცხოვრება-მოქმედებას ნიადაგად გაუხადეთ სახარების უკვდავი მოძღვრება.

ქრისტე! სოფლისა მხსნელო! იხსენ სამშობლო ჩემი ყოველი განსაცდელისაგან და ყ-დ წ-ა დედაშენის წილხდომილ საქართველოს მოჰფინე უხვად ნათელი შენი! ამინ.

სრულიად საქარ. კათ.-პატრიარქი ლეონიდი.

# კორესპონდენცია

## არჩევნები მანგლისის რაიონში.

არჩევნების დროს ყველგან, ყველა საზოგადოებებში კომისარ-მილიციონერებში, გვარდიელები თოფებით ხელში ხან ერთ სოფელს აწყდებოდნენ ხან მეორეს. დამფუძნებელ კრების არჩევნებში ვინც მონაწილეობას არ მიიღებს დაჯარიმებულ იქნებაო; კაცი 10 მ. ქალი 5 მანეთითაო და ამასთან ხმა უთუოდ 1 №-ს უნდა მისცესო. გვარდიელები იგივე გადამწერლები ინიშნებოდნენ სოფლის კომისიის ინსტრუქტორებადაც. 14 თებერვალს ხალხი საარჩევნო პუნქტებში დილიდანვე შეიკრიბა ამ დღეს საღამომდე არავინ არ მოსულა და არც ყუთი დადგმულა, შაბათს მხოლოდ საღამოზე ლა გადმობრძანდნენ მანგლისიდან ზემო ხსენებული პირნი 5 საათზე ს. ღვევში დაიწყო არჩევნები, ასევე მოხდა სხვა უბნებშიც, რა საკვირველია ამ დრომდე ხალხი არც დაიცდიდა არც არავინ გამოცხადებულა. ჩვენს პროპაგანდისტებსაც ეს უნდოდათ დაიწყეს სოფელ სოფელ ყუთის ტარება და სადაც რაც უნდოდათ იმას სჩადიოდნენ. ვინ გაბედავდა მათ წინააღმდეგ ხმა ამოეღო, მათ უკანონობაზე ან მათ თავგასულობაზე ტყვიას ვეღარ წაუვიდოდა. ყველა უკანონობაზე ჩვენი წარმომადგენელი პროტესტს აცხადებდა, მაგრამ ვინ უწევდა მას ანგარიშს, ეს მუყაითი მუშაკნი პაკეტების დათვლის შემდეგ თვითონვე მიჰქონდათ პაკეტები სარაიონო კომისიაში მანგლისში სადაც უნდა დახსნი[illegible] ხმები. თუ რას უზამდნენ პაკეტებს გზაში ეს ღმერთმა უწყის, მით უმეტეს თუ სოფელში არავის ეპუებოდნენ გზაში ხომ უფრო თავისუფლად იქნებოდნენ და ცარიელი პაკეტებიც მრავლად ჰქონდათ.

ღვევის საზოგადოებაში კომისიის მიერ არც ერთი დებულების მუხლი არ იყო შესრულებული ყუთი არ იყო დაკეტილ დალუქული, კომისიის წევრი მრავალჯერ შესდევდა ამომრჩეველს ოთახში ბილიუტენის ჩასადებად. თავმჯდომარეობდა და მდივნობდა იგივე პროპაგანდისტი-ინსტრუქტორი, შენიშნული იყო, რომ მცირე წლოვანებიც ილებდნენ არჩევნებში მონაწილეობს და სხვა მრავალი. რაზედაც ჩვენი რწმუნებულის მიერ პროტესტი იქნა გამოცხადებული, აგრეთვე ყველა იმ უკანონობაზე რომელსაც კომისია უჩვენებდა, მით უმეტეს კომისარის მოქმედობაზე, რომელიც არჩევნების დროს ყუთთან იდგა და მხურვალე აგიტაციას ეწეოდა, ყველა პირადი პროტესტებისა წერილობით განცხადება შეიტანა ჩვენმა რწმუნებულმა ამის თაობაზედ სარაიონო კომისიის თავმჯ. ბერიძეს სახელობაზედ 16 თებერვლიდანვე. როგორც სჩანს იგი დარჩენილა „ხმათა მღაღადებელთა უდაბნოსა შინა".

ეტყობათ აქარ კომისრებს, როგორც მაგალითად ღვევის საზოგადოებისას, არავითარ ანგარიშს არ უწევს როგორც საერთოდ კანონმდებლობას ისე თვით შინაგან საქ. მინისტრის განკარგულებებს, რომელიც თავის ბრძანებით უკრძალავდა ყველა კომისრებს არჩევნებში რაიმე ჰქტიურ მონაწილეობის მიღებას. რომ ასე არ იყოს აქაურ კომისრებს ხომ არც ერთი დეზერტირი არ ეყოლებოდათ საზოგადოებებში, დღეს კი აქეთ სოფლები დეზერტირებით არის სავსე და მარტო ჰაერში ტყვიის სროლის მეტს არას აკეთებენ. მობილიზაციის გამოცხადება მათთვის ხომ სასიამოვნო მოვლენაა. როგორც თვით ღვევის კომისარი საუბარში ეუბნებოდა ახალგაზდებს „რა გიშავთ შვილო რა, წახვალთ შიშველები და ერთ კვირის განმავლობაში შემოსილები ტან-ფეხსაცმელებით ისევ ამოხვალთ სახლში"-ო. კომისარიც ასეთი უნდა.

იარაღი აჰყარეს ხალხსაო მაშ ეს თოფების გრიალი საიდგან ლა არის, ხომ დღე და ღამ აუარებელი ტყვია ილუპება? მაგრამ გლეხი რა გასამტყუნარია თუ ამის მაგალითს თვით მთავრობის წარმომადგენელნი უჩვენებენ. არ გააჩნიათ დრო დღე იქნება თუ ღამე შიგ შუა სოფელში დაიწყებენ უცბათ თოფების სროლას და აწიოკებენ მშვიდობიან მცხოვრებთ.

16 თებერვალს ს. პრიუტში არჩევნები დასრულდა ხალხი წავიდ წამოვიდა სახლებში ღამის 12 საათი იქმნებოდა რაც დაარღვია თოფების გრიალმა. გადადის სახლების სახურავებზედ წუილით ტყვია, რა ამბავია არავინ იცის, სროლა გრძელდება თითქმის 10 წუთი, ეგონებოდა კაცს სოფელს მტერი შემოესიაო, გულში ხალხს ათას ფიქრებმა გაუარეს. ვისაც საღამური ჭრაქი ენთო ისიც ჩაქრა ოთახებში. ხალხი შიშით, თუმცა თოფის სროლა შესწყდა, მაინც კარში ვერავინ გამოსულიყო. სულ განაბულნი ელოდა გათენებას; რომ გაეგო თუ რა მოხდა ამაღამ. მეორე დილით გამოირკვა, რომ ეს ჩვეულებრივი მოვლენაა კომისრის მილიციონერებისა. სარაიონო კომისარი და მაზრის კომისარი ჟღენტი მობრძანდნენ თურმე თბილისიდან აქ ჩვეულებისამებრ „გადაჰკრეს" და არჩევნებში გამარჯვებულებმა მილიციონერებმა თოფების სროლით გააცილეს თურმე მანგლისში.

ვეფხვი.

## დიდი-ჯიხაიში

20 თებერვალს გვეწვია ქუთაისიდგან მთავარ მიწის მიმღები კომისიისაგან გამოგზავნილი ნარსია. დაიბარეს წვრილი მემამულეები, რომელთაც ადგილობრივ საადგილმამულო კომისიის შემოწმებით ვითომდა ნორმაზე მეტი მიწა ჰქონდათ.

რადგანაც ამინდი ცუდი იყო დაბარებულებმა დაღამებამდის ვერ მოიყარეს თავი. გვეგონა როგორც მთავრობიდგან გამოგზავნილი გულდასმით დინჯად გამოიძიებდა საქმეს და უსამართლოდ არავის მოეპყრობოდა.

სწრაფად მოისვა გვერდში ადგილობრივი მწერალი ს. დარსაველიძე, ჩამორთმეულ მიწების მეთვალყურე აგენტი ალ. ხუხუნაშვილი, დაიწყო კითხვა მემამულეების სიის და მწერალს უკარნახებდა ჩამოერთვას ამა და ამა პირს ამდენი ქცევა [illegible] დასწერეო მწერალიც რასაკვირველია ასრულებდა მის ბრძანებას. ზოგიერთების სამართლიანი განცხადება, დილამდის საშუალება მოგვეცი მოვიტანოთ საბუთები მოვიყვანოთ მოწმეები და დაგიმტკიცოთ რომ ჩვენ ნორმაზე მეტი არ გვაქვსო, არ მიიღო მე დრო არ მაქვს ხვალ ქუთაისში საერობო კრებას უნდა დავესწრო და დილით ადრე უნდა წავიდეო. ამაყად ეჭირა თავი და ხშირად ბრძანებლობის კილოსაც ხმარობდა. ასე რომ მისი ხალხისადმი მოპყრობა ძველი დროის ბოქაულის მოქმედობას სავსებით მოგვაგონებდათ. ერთ მოხუცებულს ისე გაუჯავრდა, რომ მილიციონერს დაუძახა და სატუსაღოში დამწყვდევასაც კი უპირებდა. აღსანიშნავია ისიც რომ სიის კითხვის დროს ზოგიერთების მიმართულებას იძიებდა და გაბატონებულ პარტიის წევრებს უფრო ლმობიერედ ექცეოდა. ერთ ამგვარ ფაქტსაც ქონდა ადგილი, ადგილობრივი საადგილ-მამულო მიწის კომისიის წევრმა ალ. ვაშაკიძემ ერთ მემამულეზე განაცხადა, თუმც ჩვენი შემოწმებით მას ოცდაერთი ქცევა მიწა აქვს, მაგრამ ოჯახთა მრავალ რიცხოვანი და მასთან ოთხ შვილს თბილისში ზრდისო სამართლიანი იქნება მას მთლად დაუტოვოთ მიწა და არ ჩამოვართვათო.

წინადადება ერთხმად გავიდა; ამ დროს ვიღაცამ წამოიძახა: „ის ხომ ეროვნულ - დემოკრატიულ პარტიას ეკუთვნისო". საკმარისი იყო ამის გაგონება, რომ ბ-ნ ნარსიამ კალამს ხელი წამოავლო და მწერალს გადასძახა: „ჩამოერთვას მას ორი ქცევა მიწა ასე დასწერეო". ჩვენი აზრით ამგვარი მეთოდით დაუზომავ მიწების ჩამორთმევა არა სამართლიანია და ანარქიას ჰბადებს სოფლად. სასურველია ამგვარ შემთხვევაში მთავარ მიწის მიმღებ კომისიამ უფრო დინჯი და გამოცდილი მოხელეები გამოგზავნონ და არა იმგვარი ყმაწვილები როგორიც ნარსია იყო. ამასთანავე მან უნდა შეასრულოს მთავრობის პირდაპირი დავალება დაიცვას სრული ნეიტრალიტეტი და ყველა მემამულეს რა პარტიასაც უნდა ეკუთვნოდეს იგი სამართლიანათ და კანონისამებრ მოექცეს.

მეთვალყურე.

რედაქტორი გერონტი ქიქოძე.

# მატარებლების მიმოსვლა

11 თებერვლიდან

**მატარებლები თბილისიდან ფოთში:**

მ. № 1 სასწრაფო საღ. 7 საათ. 30 წ.
ხაშურიდან — ღამ. 10 ს. 52 წ.
შორაპნიდან — ღამ. 1 ს. 34 წ.
სამტრედიიდან—ღამ. 3 ს. 50 წ.
ფოთში — დილის 5 ს. 50 წ.

პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 20 მ.

მ. № 3 საფოსტო დილის 10 ს. 30 წ.
ხაშურიდან —დღის 3 ს. 08 წ.
შორაპნიდან—საღამოს 6 ს.
სამტრედიიდან—საღ. 8 ს. 34 წ.
ფოთში — ღამის 10 ს. 43 წ.

პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 10 მ.

მ. № 9 **სამგზავრო ქუთაისამდე.**
საღამოს 10 საათ. 30 წ.
ქუთაისში მივა დილ. 7 ს. 21 წ.

პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 5 მ.

მ. № 19 **სამგზავრო ბორჯომამდე.**
დღის 3 საათზე 30 წ.
გორიდან —საღამოს 6 ს. 30 წ.
ბორჯომში მივა საღ. 9 ს. 27 წ.

პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 5 მ.

მ. № 4 **საფოსტო ბაქომდე.**
ღამის 1 საათზე 10 წ.

მ. № 8 **სამგზავრო განჯამდე:**
დღის 3 საათზე 35 წ.

მ. № 6 სასწრაფო საღ.—9 ს. ბაქომდე.

პლაცკარტის ფასი ბაქომდე 1 კლ. 60 მ., 2 კლ. 40 მ., 3 კლ. 20 მ.

**ყარსისკენ — ერევანში**

მ. № 4 საფოსტო —დღის 1 ს. 40 წ.

**თბილისში მომავალი მატარებლები.**

**ფოთიდან — თბილისში.**

მ. № 2 სასწრაფო—დილ. 9 ს. 41 წ. ფოთიდან გამოვა საღ. 11 ს.

მ. № 4 საფოსტო საღ. 8 ს. ფოთიდან გამოვა დილის 7 საათ. 40 წ.

მ. 12 **ქუთაისიდან:**
დილის 8 ს. 15 წ. ქუთაისიდან გამოვა საღ. 10 საათ. 33 წ.

მ. № 20 **ბორჯომიდან**
დილის 7 ს. 20 წ. ბორჯომიდან გამოვა ღამ. 12 ს. 46 წ.

**ბაქოდან**

მ. № 3 საფოსტო დღის 4 ს. 30 წ.
მ. № 5 სასწრაფო დილის 7 ს.
მ. № 7 სამგ. განჯიდან დილ. 8 ს. 30 წ.
მ. № 5 პლაცკარტიანია; პლაცკარტის ფასი 1 კლ. 60 მ., 2 კლ. 40 მან., 3 კლ. 20 მ.

**ნახიჩევანიდან და ყარსიდან**

მ. № 3 საფოსტო—დილ. 11 ს. 30 წ.

ამათ გარდა კვირა უქმე დღეებში. **თბილისსა და მცხეთის შუა** იქნება შემდეგი მატარებ. მიმოსვლა.

მ. № 61 თბილისიდან
დილის 7 ს. 37 წ.
მ. № 63 დღის 3 ს.

**მცხეთიდან მოდის**

მ. № 62 დილის 11 ს. 10 წ.
მ. № 64 საღამოს 7 ს. 20 წ.


მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა

**გ. გ. მუხრანიანცი**

შინაგანი ავადმყოფობა, ჰლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო-წამლობის კაბინეტში, გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სალენოიდი და არსევალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ღარიბებს უფასოთ. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე და საღამოს 5—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92. 24—1

ხამკურნალო კაბინეთი ექიმის

**ალექსანდრე დავითის ძის ჰიჰილიანი**

იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათ. 11 საათ. და საღამოს 4 საათ. 6 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ, ტელეფონი 14—28.

რენტგენის და ელექტრონის სამკურნალო კაბინეთი. წითელ ჯვრის რენტგენოლოგის და მიხეილის საავადმყოფოს

ექიმ

**ა. ვ. ლევენშტეინისა**

იღებს 10 ნახ. 1 საათამდე და 4-იდან 7-ამდე კვირა დღის გარდა. შინაგან და ქალთა ფილტვების სატკივრებისთვის. (სპეციალურად გულის, კუჭის და ქრონიკულ ავადმყოფებს ნერვიულ სისტემის და ქალურ სქესობრივ სფეროში) რენტგენოგრაფია ჩაწერით. დაჭრილები რიგს გარეშე მიიღებიან. კრილოვის ქ. სახ. № 5 ბინა № 3. ტელეფონი 12—46. (თვ. 2075—4.)

მედიცინის ექიმი

**ე. ა. მონსე**

ნერვიული, შინაგანი და საბავშო სნეულებანი. მკურნალობა ელექტრონით, სიმსუქნის მკურნალობა ბერგონიეს აპარატით, სალსრების მკურნალობა ლინდემანის აპარატით; ფსიხოტერაპია, ჰიპნოზი. მიღება 10 ნახ. ს. დღ. საღამოს 6—7 ს. ყოველდღე, კვირის და ხუთშაბათის საღამოს გარდა. მიხეილის პროსპ. № 111. ტელეფონი 13—42.

50—2119—3

**წიგნების საკინძ-საკაზმავი სახელოსნო**

**ვლადიმერ შატბერაშვილისა**

13 წლის განმავლობაში პრაქტიკული ცოდნის მიღების შემდეგ გავხსენი საკუთარი სახელოსნო, სადაც ვღებულობ ყოველგვარ საქმეს, რომლებსაც ვასრულებ დაპირებისამებრ

**ზედმიწევნით ფასებში**

ვღებულობ კანტორის და ბლანკის წიგნებს, ყდებს, ბროშურებს, სურათებს ჩარჩოებში, სამგლოვიარო ლენტებს და სხ. და სხ. საკინძ-საკაზმავ საგნებს.

მისამართი: სასახლის ქუჩა, № 5, მეორე სართულში დრ. მსახიობთა კავშირის გვერდით.

24—114—12 პატივისცემით ვლ. შატბერაშვილი.

**ყოველდღიური პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი**

# „საქართველო"

1919 წ. **ფელიეტონი მეხუთე** 1919 წ.

გაზეთი თებერვლიდან წლის დამლევამდე ღირს 135 მანეთი.

**მისამართი:** თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5,) (ქართული ქარვასლა). ფოსტის მისამართი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგრამისთვის: თბილისი, „საქართველო", ტელეფონი № 15—73.

კონტორა ღიაა დილით 9—3 საათამდე.


სტამბა კალანდაძისა, გაზეთის შესახვევი № 4.